კვირა, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 29 № 252

წელიწადი მეოთხე

კვირა. 1918 წ. ქრისტეშობისთვის 29 №252

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან მოსულ ცნობით მობილიზაციის საქმე ბრწყინვალედ სრულდება.

ადერბეიჯანში შესდგა ახალი მთავრობა ხანხოელის თავმჯდომარეობით.

მიუნხენში გერმანელ სოც. დემოკრატების კრება გარეკეს.

რუსეთის საკითხი გაირჩევა ლონდონში პრეზ. ვილსონის თანადასწრებით.

ამერიკას გადუწყვეტია სურსათით უზრუნველ ჰყოს—ჯერ მოკავშირენი, შემდეგ ნეიტრალი სახელმწიფონი და ბოლოს გერმანია.

ბოლშევიზმთან საბრძოლველად ბერლინში უპარტიო პოლიტიკური კავშირი შესდგა.

სამხრეთის სლავიანები გერმანელთა რეინის ოლქში შეკრილან.

გერმანიის სახ. კომისართა საბჭოს მთავრობის და სხ. სამრეწველოთა სოციალიზაციისთვის არავითარი დადგენილება ჯერ არ მიუღია.

იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა რომ იგი ჩინეთს ფულით დაეხმარება.

---

### კიტა აბაშიძის

გარდაცვალების წლის თავზე მის სულის მოსახსენებლად კვირას, 29 ქრისტეშობისთვეს დიდუბის ეკლესიაში გადიხდიან წირვა-პანაშვიდს, რასაც აუწყებენ მისი ჭირისუფლები. წირვის დასაწყისი 10 ნახ. ს., პანაშვიდის—12 ნახ. საათზე.

2—1978—2

---

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, 27 ქრისტეშ. გარდაიცვალა

### მარიამ პავლეს ასული მამამთავრიშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მღ. ნიკიფორე, შვილები: ბარბარე და ზაქარია, დედამთილი—ბარბარე სამსონის ასული მამამთავრიშვილები, დები: მართა და სოფიო ძმა გიორგი ივანეშვილები. პანაშვიდები სად. 6 საათზე, გამოსვენება 31 დეკემბ. (ახალ სტილით) საკუთარ სახლიდან ჭავჭავაძის ქუჩა № 24. წირვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დაკრძალვა ამავ ეკლესიის გალავანში.

1—1987—1

---

გუნდის უფროსი, ოფიცრები და გვარდიის დივიზიის ცხენოსანნი იუწყებიან ძვირფას მეგობრის, თანამსახურის და უფროსის

### მიხეილ შენგელიას

(კ ო რ ნ ე ტ ი)

24 ქრისტეშობისთვეს სომხებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპვას. გამოსვენება დღეს 29 ქრისტეშობისთვეს საკუთარი ბინიდგან „ვარდის მოედანი“ (როზ. პლოჩ.) ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში დილის 10 საათზე. დაკრძალვა პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 1—198—1

---

სავაჭრო სახლი ძმ. ძეგველოვებისა აუწყებს ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ 26 ქრისტეშობისთვეს დილის 5 საათზე უდროოდ გარდაიცვალა დამსახურებული ნოქარი

### გიორგი გაბრიელის ძე ივანოვი

დაკრძალვა წმიდა ნინოს სასაფლაოზე დღეს, 29 ქრისტეშობისთვეს.

1—1986—1

---

კვირას, 29 ქრისტეშობისთვეს, დღის 12 საათზე დანიშნულია ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

### ვენეს (ვენ სონის)

სულის მოსახსენებლად. რასაც მწუხარებით აუწყებს ვენეს ამხანაგებს და მეგობრებს ეკატერინე დიმიტრაშვილი-ტყემალაძისა. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

1—1988—1

---

ქართველ მანდილოსანთა საზოგადოების სასადილო

### ი მ ე დ ი

საქართველოს რესპუბლიკის მეომართა „დამხმარე კომიტეტის“ საშუალების გასაძლიერებლად ქართველ მანდილოსანთა საზოგადოების გამგეობა

დღეს, 29 ქრისტეშობისთვეს,

ჰმართავს **საერთო სადილს** ჰმართავს

**კონცერტის განყოფილებით**

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საუკეთესო არტისტები.

„დამხმარე კომიტეტს“ მოგებიდან გარდაეცემა 5 პროც.

სადილის დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზე. ადგილების ფასი 5 მანეთი. სასადილო გამართულია ძველ სემინარიის შენობის შესავალში.

---

### არტისტიული საზოგადოების თეატრი

ხუთშაბათს, იანვრის 2-ს, 1919 წელს

**ქართული სტუდიის მიერ**

წარმოდგენილი იქნება

**ღ ა ლ ა ტ ი**

დრ. 5 მოქმ. ა. სუმბათაშვილისა.

რეჟისორები: ზ. ბერიშვილი და გ. ჯაბადარი.

ადმინისტრ. მიხ. ხერხეულიძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

3—90—1

---

### სახ ლმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 1 იანვარს, საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის და სახელმწიფო თეატრის თაოსნობით სამშობლოს დამცველ მეომართა პატივსაცემად და სასარგებლოდ გაიმართება:

**დიდი მხატვრული საღამო**

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

„**პირიმზე**“ სამუსიკო ლეგენდა ბალეტით (კეთილ და ბოროტ სულთა ბრძოლა) 1 მოქმ. კ. ფოცხვერაშვილისა.

„**სიმფონიური და სასიმღერო განყოფილება**“ ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებთაგან.

„**ბალეტი**“ სახელმწიფო თეატრის რჩეულ მოცეკვავეთა ანსამბლით.

მონაწილეობას მიიღებენ: სახელმწიფო თეატრის, სამუსიკო საზოგადოების და მსახიობთა კავშირის საუკეთესო ძალები.

რეჟისორი ალ. წუწუნავა. გამგე საქართვ. მეომართა დამხ. კომიტეტი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. აფიშები არ გამოვა.

---

### სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ევლახოვისა**

კვირას, 29 ქრისტეშობისთვეს, დილით, მეორე საქალებო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ საბანეევას, სარაჯიშვილის, ბვრონსკის, ნიკოლსკის და დემიანენკოს მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**სევილიელი დალაქი**

საღამოთი: ალეშკოს, კანშინის, პოლიაევას მონაწილეობით:

**ტ უსკა და ბალეტი**

(ჯიოკონდას ოპერიდან „საათების ცეკვა“).

---

**29 მარიამობისთვეს (ახ. სტ.)** ბელორეჩინსკის 9 ვერსით მოშორებულ ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაპსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

**უკვალოდ დაიკარგა**

1-ლ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი დავით არონის ძე ელიგულაშვილი.

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს დაბეჯითებით ვთხოვთ

**ჯილდოს მიღებით**

შეგვატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგის მისამართით: ქ. ქუთაისი მიხაილის ქ. საკუთ. სახლი არონ იაკობის ძე ელიგულაშვილს.

(12—1956—11)

---

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი**

### საქართველო

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის**

**ხელის მოწერის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . . . . . . | 150 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . . . . | 75 „ |
| სამი თვით . . . . . . . . . | 40 „ |
| ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) . . | 15 „ |

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.

**ფოსტის ადრესი:** თბილისი, გაზ. საქართველოს კონტორა, ფოსტის ყუთი № 76.

**ტელეგრაფის ადრესი:** თბილისი „საქართველო“.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უქმე დღეებში 10—1 საათ.

—◆—

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს წლის ბოლომდე მიეცემა

**გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია**

(კრებული წერილებისა)

---

## პირველი კონტაქტი.

მსოფლიო ომის ფაქტიურ დამთავრების შემდეგ ინგლის-საფრანგეთი რუსეთის ბოლშევიზმის წინააღმდეგ გალაშქრებას დაადგა. არც ერთის მხრით ეს არ მიაგავს აწ უკვე დასრულებულ ომს. რუსეთი ყველაზე ადრე გამოვიდა მეომარ სახელმწიფოთა რიგიდან, ხელი აიღო სახელმწიფოებრივ-იმპერიალისტურ ომზე და შინაურ გარდაქმნის პროცესში ჩაიძირა. თუ ომის დამთავრებამდე შეთანხმების სახელმწიფოთა ბოლშევიკების წინააღმდეგ სხვა და სხვა მხრიდან და სხვა და სხვა მეთოდით გალაშქრებას შეიძლებოდა მიზნად ჰქონოდა ზომიერი და მოსახელმწიფოვე რუსეთის ფეხზე დაყენება და მისი გამოყენება ისევ-ისე გერმანიის წინააღმდეგ, დღეს შეუძლებელია მათ გალაშქრებას ესევე დანიშნულება მიეცეს. ინგლის-საფრანგეთს რუსეთთან არ აქვს გასასწორებელი არც სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ანგარიში და არც საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიური. გამარჯვებული კოალიცია ილაშქრებს ბოლშევიზმის იდეისა და ტაქტიკის—წმინდა შინაურ რუსულ მოვლენის—წინაალმოეგ. თვის შეტევის დაწყებას კოალიცია აპირებს შავი ზღვის ჩრდილო ნაპირის ზოგიერთ პუნქტიდან და ამიერ-კავკასიიდან. შეთანხმების სახელმწიფონი ეტანებიან, რომ ერთ-ერთი სამოქმედო ბაზა დამოუკიდებელ საქართველოშიც იქონიონ. ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ამ კოალიციის ფეხის შემოდგმის მომენტიდან პრაქტიკულად დაისვა საკითხი, თუ რანაირი ურთიერთობაა მოსალოდნელი და დასამყარებელი ერთის მხრით კოალიციის სახელმწიფოთა და მეორეს მხრით ამიერ-კავკასიაში არსებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ფორმაციათა შორის.

საკითხი მეტის-მეტად მნიშვნელოვანია. მის სწორ გადაჭრაზეა დამოკიდებული, როგორც ნორჩ სახელმწიფოებრივ სხეულების მომავალი, ისე გამარჯვებული ინგლის-საფრანგეთის დასახული მიზნის მიღწევაც. გაუგებრობამ და სიჩქარემ შეიძლება ამ პატარა სახელმწიფოთაც დიდი ხიფათი მოუტანოს და ტიტანიურს ბრძოლაში გამარჯვებულ ფალავნებსაც ანგარიში შეუშალოს. პატარა ოდნობათა დიდი შედეგები, მარტოოდენ ფილოსოფიურ ლიტერატურის თემა არ გახლავთ; და შეიძლება პატარა ოდნობას არასოდეს ისეთი ფასი არ ჰქონოდეს, როგორც დღევანდელს პირობებში.

დიდი უნდა იყოს მეცნიერებისა და ჭეშმარიტების სიყვარული და კიდევ უფრო დიდი სიფრთხილის გრძნობა შეთანხმების სახელმწიფოთა იმ წარმომადგენლებში, რომელნიც ამიერ-კავკასიაში ჩამოვიდნენ და რომელთაც პირველად უხდებათ ადგილობრივ ხალხებთან ცოცხალი კონტაქტის დამყარება საკუთარ მიზნების მისაღწევად, რომ ერთი ხალხი და სახელმწიფო მეტ ფავორში არ იყოლიონ, ვიდრე მეორე, ან ერთი მეორის ხარჯზე რომ არ აცხოვრონ.

ამიერ-კავკასიაში ახლად დამყარებულ სინამდვილის წინაშე განცვიფრებული დარჩება გონება და წარმოდგენა იმ ადამიანებისა, რომელნიც ამ მხარეს შორიდან რუსეთად იცნობდნენ. ამ ქვეყნებში დღეს არც რუსეთია და არც მისი ხსენება. ამის ნაცვლად სამი ბუნებრივი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. თითეულ ამ ეროვნულ სახელმწიფოს, თითეულ ამ ხალხს თავისი გრძელი ტრადიცია აქვს, და ზოგს მრავალი ათასი წლის ისტორიულ-კულტურული ცხოვრება. ერთის მეორისაგან განსხვავებული ლტოლვილება და ინტერესი ახასიათებს. სხვა და სხვაა მათი ეროვნული შინაარსი და ფორმა. სხვა და სხვაა მათი ღირებულება, მათი პრეტენზია, მათი სახელმწიფოებრივი უნარიანობა და მათი ეროვნული მორალი. ესენი წარმოადგენენ განსხვავებულ ეროვნულ ოდნობათ სწორედ ისე, როგორც ინგლისი და საფრანგეთი. და რომ ასეთ განსხვავებულ ეროვნულ დ სახელმწიფოებრივ კოლექტივებთან სწორი პოზიცია იქმნას დაჭერილი, აუცილებელია მათი კარგი გაცნობა, როგორც ისტორიის პრესპექტივაში, აგრეთვე მოქმედებისა და სამერმისო მისწრაფების მხრივაც. ეს არც თუ ისე ადვილი საქმეა და სრულებით გასაკვირი არაა, რომ ჩამოსული სტუმრები, ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლები, ჯერ გაურკვეველნი იყვნენ ამიერ-კავკასიის ახალს ვითარებაში.

ასეთ პირობებში, და თუ კიდევ აქტიური ჩარევა მოვლენებში დაუყოვნებლივ საჭიროებად იქმნა დასახული, ყოვლად შეუძლებელია ადამიანი არ შეიქმნეს მსხვერპლად შემთხვევითი ინფორმაციისა და ფაქტების ცალმხრივი გაშუქებისა.

ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლობა ჩამოსვლისათანავე პირისპირ შეეჩეხა ახლად დაწყებულ საქართველო-სომხეთის ომს და მოისურვა მისი მსწრაფლ აღკვეთა.

ეს იყო ინგლის-საფრანგეთის პირველი კონტაქტი ამიერ-კავკასიის ორი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებსა და მათ ეროვნულ ღირსებებთან.

გულახდილად უნდა ვსთქვათ, ამ პირველმა კონტაქტმა დიდი წყენა მიაყენა ინგლის-საფრანგეთისადმი იმ ტრადიციულ პატივისცემის გრძნობას, რომელიც ქართველ საზოგადოებას ისტორიულად ახასიათებს. ამ ჩარევაში დავინახეთ აჩქარება, სისხლის ღვრის მიზეზისა და ავტორის გამოძებნის უხალისობა და ამის შედეგად ისეთი ფორმულები და წინადადება, რომელიც იმდენად მიუღებელია თავდასხმის მსხვერპლის ეროვნულ ღირსებისათვის, რამდენადაც იგი დამაკმაყოფილებელია თავდამსხმელის დამნაშავურ ზვიადობისა. და ასეთი ფორმა მართლმსაჯულებისა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, რომელთაც ერ კულ ღირსებას უთვალავი მსხვერპლი შესწირეს,—სწორედ რომ დასანანია და გასაკვირი! ჩვენ გვაგონდება ახლო წარსული, როდესაც უფლების და სამართლის მოძულე რუსეთი ამიერ-კავკასიაში ხან ერთ ერს ემყარებოდა მეორის წინააღმდეგ და ხან კიდევ მეორეს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკას ეს თავის დღეში მიზნად არ ექნება, მაგრამ ჩარევის ფორმა და მოცემულნი წინადადებანი წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ, რომ თავდამცველ საქართველოს ეროვნულ თავმოყვარეობისა და მის სასიცოცხლო ინტერესის ხარჯზე თავდამსხმელი სომხეთი დააკმაყოფილონ. ჩვენ გვგონია, რომ ეს საქმის გაუცნობლობის მექანიკური შედეგია. ჩვენ გვგონია, რომ ინგლის-საფრანგეთის ინტერესი ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ ფორმაციების მიმართ სიმპატიისა და მართლ-მსაჯულების წინასწორობის დაცვას მოითხოვს. ხოლო თუ საქმე მაინცა და მაინც არჩევანზე მიდგა, უფრო ხანგრძლივმა დაკვირვებამ და ამ ახალ სახელმწიფოების ახლო გაცნობამ შეიძლება სხვა დასკვნამდე მიიყვანოს ამ ორი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლობა.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლ. გაზ. „საქართველო“-ზე მიიღება ხელის მოწერა 1919 წლ.

## უნდა ითქვას...

ომი ჰსწარმოებს. თავგანწირული ახალგაზდობა მიესწრაფება ბრძოლის ველისაკენ და ყოველ ქართველ გულს ავსებს სიამაყით და ალტაცებით. გაიღვიძა საქართველომ, მთა და ბარზე გადაიარა სიცოცხლის მყოფელმა სულმა. გუშინ გათიშული და შეიძლება ზნეობრივად დაქსაქსული ერი დღეს გამოდის, როგორც ერთი ორგანიზმი, როგორც ერთი აღფრთოვანებული არსება. ვინ იტყვის ეხლა, რომ იგი სახელმწიფოებრივად ვერ იარსებებს, რომ მას არა აქვს საკმარისი ეროვნული ენერგია? ყველა ჰხედავს—ერთია გრძნობა, ერთია ფიქრი მთელი ერისა: ბრძოლა და გამარჯვება. ეს ალი ანთებს ყველას, მიაფრენს ყველას ბრძოლისაკენ. რაზმი-რაზმს მისდევს მხოპრული, მწყობრი, დინჯი; თავისუფლებაში ჰბრწყინავს შუქი გარდაწყვეტილებისა: „გამარჯვება ან სიკვდილი!“

და ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ ამ ფრონტზე გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

მაგრამ არის კიდევ მეორე ფრონტი, სადაც არ ისმის ზარბაზანი და არ იღვრება სისხლი თავგანწირულ მამულიშვილებისა; იქაც მოგველის ბრძოლა არა ნაკლებ საშიშარი თავის შედეგებით.

მე მოგახსენებთ მსოფლიო კონფერენციაზე.

მოგველის ბრძოლა აზრების და მსჯელობის, ისევე მკურნალი და შეუბრალებელი, როგორც ტყვია, ისევე მკვეთრი და საშიშარი, როგორც ხმალი. იქ უნდა წავსდგეთ აღჭურვილნი საჭირო და სათანადო იარაღით: ცოდნით, გამოცდილებით და ყოველნაირი საბუთებით, იქ უნდა მოვიგოთ ბრძოლა, იქ უნდა დავუმტკიცოთ, გავაგებინოთ ყველას სრული სამართლიანობა ჩვენი მოთხოვნილებისა და უზრუნველ ვყოთ ჩვენი მომავალი, ჩვენი პოლიტიკური თავისუფლება. იქ, იმ უმაღლეს სამჯავროში, სადაც წარმოდგენილი იქნება დიდი სახელმწიფონი, ჩვენ მოგველის ბევრი შეტაკება, მოულოდნელი თავდასხმა და ზოგჯერ პირდაპირი იერიშები. თუ აღმოგვიჩნდებიან მეგობრები დამხმარენი, ეჭვი არ არის, გვეყოლება აგრეთვე მტრებიც, რომლისთვის არ არის ხელსაყრელი ჩვენი თავისუფლების განმტკიცება. ჩვენს ჯარს ე. ი. ჩვენს საბუთებს, უფლებებს და ლოგიკურ მსჯელობას, უნდა ჰყავდეს გამოცდილი, ამისთანა ბრძოლის ალში გამობრძმედილი სარდალი ან სარდლები, რომ აამოძრავოს ეს თავისებური ჯარი თავის დროზე, მიიტანოს იერიში, როცა საჭიროა, და არ დაიბნეს და არ დააბნიოს თავის ჯარი, როცა მოულოდნელი თავდასხმაა.

საქართველომ უნდა მიიღოს პოლიტიკური თავისუფლება და უზრუნველჰყოს თავისი სახელმწიფოებრივი საზღვრები.

აქედანა სჩანს, თუ რა ნაირი პირები უნდა გავგზავნოთ ჩვენ ევროპაში. პირველი და აუცილებელი მოთხოვნილებაა უცხო ენების ცოდნა. ენა მაინც, ფრანგული ან ინგლისური, აუცილებლად საჭიროა. თუ ლაპარაკი არ შეგიძლიათ, თუ ვერ აუხსნით მშვიდობიანად და ღირსეულად ყველა ჩვენს მოთხოვნილებას და ვერ გადაშლით ყველა ჩვენს საბუთებს, ჩვენ დამარცხება არ აგვცილდება. აქ თარჯიმანი ვერარას გვიშველის. თარჯიმანს თან ყველგან ვერ ათრევთ ლაპარაკი კი და გაგება სხვისი ნალაპარაკევისა ყველგან და ყოველ ნაბიჯზე დაგჭირდება. აქ თვითონ უნდა იყო მეთვალყურე, დარაჯი, მზვერავი და მეომარი. ამიტომ ასეთი პირი, რომელმაც კარგად ლაპარაკი არ იცის ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე არ უნდა გაიგზავნოს დელეგაციაში. ეს—ერთი.

მიუთითოთ კიდევ ერთ გარემოებაზე. ამ სამსჯავროში, რომელზედაც მოგახსენეთ, პირველი (და გარდამწყვეტიც) ადგილი ეჭირება სამს დიდ სახელმწიფოს—ინგლისს, საფრანგეთს და ამერიკას. ჩვენ ძალიან გადავყევით რუსეთის რევოლიუციას და მისგან გადმოსროლილ ლოზუნგებს. ეს ლოზუნგები ჩვენთვის ძვირფასია და თუ მართლა გვიყვარს ეს ლოზუნგები, თუ მართლა გულწრფელად გვენატრება მათი ცხოვრებაში გატარება, ცოტა ანგარიში მაინც უნდა გავუწიოთ იმ სამსჯავროის შემადგენლობას. როგორც მოგეხსენებათ, ამ გამარჯვებულ სახელმწიფოებში ჯერ რევოლიუციაზე არა ისმის რა და პროლეტარიატი ჩუმად არის. ჩვენ საქმე გვექნება განსაკუთრებით იმ ბურჟუაზიულ კლასებთან, რომლის წინაამდეგ ჩვენს რევოლიუციის ბელადებს არა ერთხელ წარმოუთქვამთ მხურვალე ფილიპიკები. მართალია, ეს ჩვენი სახელგანთქმული ბელადები მომხრენი იყვნენ გერმანიის წინაამდეგ ომის წარმოებისა, მაგრამ ეს სამსახური არც ისე დიდია, რომ დაავიწყოს მოკავშირეებს მათი სარევოლიუციო მოღვაწეობა. ცნობილი კერენსკიც იყო ომის მომხრე, მან ერთხელ რუსის ჯარის შეტევაც კი მოახერხა, მაგრამ, როცა ლონდონში ჩამოვიდა, იგი არსად მიიღეს, მასთან ლაპარაკიც კი არავინ მოისურვა, პარიზში კი სულ სამასხაროდ აიგდეს, გაზეთებში „მჩხავანა დერვიში“ (Derviche merleur) დაარქვეს და აგრე შერცხვენილი იქიდან გამოაბრძანეს. ეს ამბავი ჩემ მიერ მოგონილი არ არის და ეს გაკვეთილი ნუ დაგვავიწყდება. ფრთხილად ვიყოთ, თუ მამულისშვილები ვართ და სამშობლო გვიყვარს, გამოვიჩინოთ მოქალაქობრივი მხნეობა და წვრილმან და ულირსს თავმოყვარეობას ნუ გადავყვებით. ნუ გავგზავნით რევოლიუციის ბელადებს იქ, სადაც მათ არ აფასებენ ან ნაკლებად აფასებენ, თორემ ვაი თუ მათაც, ყურადღებისა და პატივისცემის მაგიერ, „მჩხავანა დერვიშების“ სახელი მიაკერონ და...

რად უნდა ჩავაგდოთ საფრთხეში ან მათი პატივცემული სახელი, ან ჩვენი ეროვნული ინტერესები?!

მე არავისი წყენა არ მინდა, მე მხოლოდ საქმის ინტერესი მალაპარაკებს: ვწერ და თითქმის მესმის ზარბაზნის გრიალი აქვე, ახლო, სულ ორ ნაბიჯზე, საქართველოს დედა ქალაქთან; მესმის გმირული ხმა თავგანწირულ მამულიშვილების და კვნესა დაჭრილი ძმებისა. აი ეს სისხლის ღვარი მოითხოვს, რომ მეორე ფრონტზედაც გამოვიდეთ ფრთხილად, მომზადებულად და მიზანშეწყობილად.

არ დავმარცხდეთ!

**გიორგი გვაზავა.**

## პრესსა

თბილისში ჩვენი მტრების აგენტები ავრცელებენ ცრუ ხმებს, თითქო ომი შეწყვეტილიყოს და მოკავშირეები ერიოდენ ომის საკითხში. გაზეთი „ერთობა“ ამის შესახებ სწერს:

„მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენელნი, რომლებიც ამ დღეებში თფილისში ჩამოვიდენ, დიპლომატიურ ნაბიჯებს სდგამენ საქართველოსა და სომხეთს შუა ომის მოსასპობათ. ჩვენი მტრები ამ ფაქტს, რასაკვირველია გამოიყენებენ იმ მიზნით, რომ ჩვენს ხალხში გაანელონ საომარი განწყობილება. ისინი შეეცდებიან ხმები გაავრცელონ, რომ, რაკი ინგლის-საფრანგეთი ერევა საქმეში, ომი უთუოდ მოისპობა და, მაშასადამე, სამხედრო სამზადისზედ ზრუნვაც საჭირო აღარ არისო. „ჩვენს საზოგადოებაში უკვე დადის პროვოკატორების მიერ გავრცელებული ჭორები, ვითომც ზავი უკვე გადაწყვეტილი საქმეა ვითომც ფრონტზე საომარი მოქმედება შეჩერებულიყოს და სხ.

მთელმა ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა დემოკრატიამ ყოველი ზომა უნდა იხმაროს, რომ ამნაირი ჭორები და ხმები ძირშივე აღმოფხვრას. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ შედეგი იმ მოლაპარაკებისა, რომელიც დღეს სწარმოებს ომის შესაჩერებლათ, დიდათ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წავა ჩვენი სამხედრო მოქმედება მოლაპარაკების დროს. თუ ბრძოლის ველზე გამარჯვება აშკარათ ჩვენს მხარეზე იქნება მოლაპარაკების დროს, ეს მოლაპარაკებაც ჩვენთვის უკეთესად დასრულდება, და თუ მოლაპარაკების დროს ბრძოლის ველზე საქმე ცუდათ წავიდა, მოლაპარაკების შედეგიც საზარალო იქნება ჩვენთვის. ამ აზრით უნდა გაიმსჭვალოს მთელი ჩვენი ხალხი, ეს აზრი უნდა გაამაგროს ერში ყოველმა მოქალაქემ, ეს აზრი უნდა განმტკიცდეს ჩვენს ჯარში, რომ მან სწორეთ მოლაპარაკების დროს გაათრკეცოს თავისი ძალა და თავგანწირულება დემოკრატიულ სამშობლოს დასაცველად. ყოველი ჯარისკაცი იმ აზრით უნდა გაიმსჭვალოს, რომ გამარჯვება თუ მარცხი მოლაპარაკებაში დამოკიდებულია მათს შეგნებაზე, ერთგულებაზე და სიმაგრეზე.

იმავე სამხედრო პროვოკატორების მიერ კიდევ ვრცელდება ერთი მავნე ჭორი: ვითომც ინგლისს გადმოუსხავს ჯარი, რომელიც საქართველოს საწინააღმდეგოთ მოდის. გადაჭრით უნდა გამოვაცხადოთ, რომ ყველა ამნაირი ხმები მტკნარი სიცრუეა, რომ ამ სიცრუის გავრცელებას მიზნათ აქვს ჩვენს საზოგადოებაში დაბადოს ერთნაირი შიში დიდი სახელმწიფოს წინაშე, ჩაუნერგოს ხალხს უიმედობა და გაუქარწყლოს ხალისი თავის დაცვისა. არავითარი საბუთი იმისა, რომ ინგლისი საქართველოს მტრული თვალით უყურებდეს, არა გვაქვს. პირიქით მოკავშირეთა წარმომადგენელთა ყოველი ნაბიჯი იმის მაუწყებელია, რომ ინგლისს სურს კეთილი განწყობილება იქონიოს იმ მხარეებთან, სადაც წესიერებაა დამყარებული. მოკავშირეთა სამხედრო პირნი, რომლებმაც კი ჩვენი ქვეყანა ინახულეს, აღიარებენ, რომ მთელს ყოფილ რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში არც ერთს კუთხეში ისე არ ყოფილა წესიერება დაცული, როგორც საქართველოში. ის კეთილგანწყობილების კილო, რომლითაც მოკავშირეთა წარმომადგენლები ელაპარაკებიან ჩვენს მთავრობას, მაუწყებელია ჩვენი სახელმწიფოსადმი პატივისცემისა და ფრთხილათ მოპყრობისა.

ჩვენს ხალხს დიდი სიფრთხილე და შეგნება მართებს, რომ ამნაირი ჭორების გავრცელებით ჩვენი მტრის აგენტებმა ვერ მიაღწიონ თავის საწადელს და ვერ გაანელონ ის სამხედრო აღფრთოვანება, რომელიც დღეს ხალხში ასე ძლიერია“.

ქართველი ხალხის სამხედრო აღფრთოვანება ავალებს აგრეთვე მთავრობას და მართველ პარტიას თვითონ ებრძოლოს იმ პროვაკატორებს, რომელნიც სთესენ ჭორებს და აღელვებენ ხალხს. მთავრობას მეტი ზომები შეუძლია მიიღოს პროვოკატორების მოსაკვეთათ და მაშინ ხალხიც შეიგნებს უფრო მეტად თავდაცვის საჭიროებას და იმედიც მოემატება რომ მისი უფლება იქნება დაცული.

## ეკატერინოფელდის გამარჯვების მნიშვნელობა

ახლა თანდათან ნათელი ხდება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ბრძოლას, რომელიც ჩვენმა გვარდიამ 19 ქრისტეშობისთვეს მოიგო სოფელ ეკატერინოფელდან. ეს გერმანული ახალშენი თითქმის შუაზე სჭრის იმ გზატკეცილს, რომელიც თბილისიდან კოჯორზე და მარაბდაზე მიდის და ლორის ველზე თავდება სოფელ ვორონცოვკასთან.

ვორონცოვკის ქართულ პოსტის გაჟლეტის შემდეგ მტრის რაზმებს გზა გაეხსნათ ერთი მხრით ქართულ დმანისისა და ქვეშისა და მეორე მხრით სომხებით დასახლებულ ბოლნის-სიონისა და ბოლნის-ხაჩინისაკენ. უეჭველია, რომ ამ რაიონის სომხები გააძლიერებდნენ ბეზობდალის მთებიდან დაშვებულ ლაშქრის ზვავს. ამგვარად ეკატერინოფელდს მტერი, როგორც სჩანს, ერთსა და იმავე დროს დასავლეთიდან და სამხრეთიდან მოადგა. თუ გავიხსენებთ, რომ ამ სოფელს ჩრდილოეთით ცნობილი დაგეტ-ხაჩინი და საძმილდე აკრავს, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი გვარდია რკინის ხაფანგში იყო მომწყვდეული და მისი დამარცხება საშინელს კატასტროფას გამოიწვევდა. ეკატერინოფელდიდან წამოსული მტერი სანდართან რკინის გზის ლიანდაგს გადასჭრიდა და სადახლოში მდგომ ქართველ ჯარს ზურგში მოექცეოდა. მეორე მხრით მტრის აგენტები დაგეტ-ხაჩინის გასწვრივ მდინარე ხრამზე გადმოვიდოდნენ და აამოძრავებდნენ [illegible]ძვილდისა და კოჯორის რაიონის [illegible]ებს. ეს მოძრაობა თავის მხრივ ალბათ ელექტრონის ნაკადივით გადმოეცემოდა ჩვენს დედაქალაქში მობინადრე უცხოელებს.

ოცდაათი ვერსტის სიშორეზე ჩვენი დედაქალაქის ბჭეებიდან სომხებმა წააგეს ბრძოლა, რომელიც თბილისის დასაპყრობად იყო დაწყებული. ეს ბრძოლა უეჭველია მეტის მეტად სასტიკი და სისხლის მღვრელი იქნებოდა, თვით თბილისის კედლებთან რომ მომხდარიყო. ეს შეტაკება რომ ბოლოს უსათუოდ ქართველი რასის გამარჯვებით დამთავრდებოდა, ამაში რასაკვირველია, ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს გარდა ერევნელი ფანტაზიორებისა. მხოლოდ თბილისისა და მისი მიდამოების გაწმენდა უფრო რადიკალური და სწრაფი იქნებოდა ამ შემთხვევაში.

ქართველ გვარდიას უნდა უმადლოდეს სომხის ერი, რომ რასიული ომი საქართველოში არ ღებულობს ისეთს ველურ ფორმებს, როგორიც აღმოსავლეთ კავკასიაში მიიღო. ხოლო თუ ეს ომი მომავალშიც მეთოდიური და წესიერი იქნება, ამის გამო სრულიადაც არ დაჰკარგავს სიმძაფრეს.

მაგრამ ეკატერინოფელდის გამარჯვების მნიშვნელობა მარტო სამხედრო მაშტაბით არ განიზომება. აქ, ძველს ხუნანსა ანუ სომხეთში, მდინარე მაშავერას ნაპირებზე, სადაც დღეს შორეულ გერმანიიდან მოსული ახალშენები სახლობენ, მოხდა ქართველი და სომეხი ერის საბოლოო ფსიხიური გამიჯნვა. ჩვენ უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში მარტო მეზობლები როდი ვიყავით: ალაგ-ალაგ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ვცხოვრობდით არეულად და ჩვენ შორის თითქო წაეშალა სულიერი განსხვავება. საქართველოში მობინადრე სომხობამ თითქო დაჰკარგა ყველა ეროვნული თვისებები: ენა, ზნე-ჩვეულება, ისტორიული ტრადიციის გრძნობა და გვარტომობის მახსოვრობა.

ჩვენ გვწამს, რომ რომელიმე გურჯაანელი ან ატოცელი სომეხი შეიძლება სრულიად გულწრფელად თავს ქართველ მოქალაქეთ ჰგრძნობდეს და საუკეთესო სურვილებით მიდიოდეს რესპუბლიკის ლაშქარში. მაგრამ საკმაოა, რომ ის ბრძოლის ველს მიუახლოვდეს, საკმაოა ათასი წლის წინათ დაშორებული თანამემამულეები დაინახოს და მათი ყიჟინა გაიგონოს, რომ ერთს წუთში სრულიად გარდაიქმნეს და „ანდრანიკისა“ და „ჰაირენიკის“ სახელების შთაგონებით მთვარეულივით ჰდროს ლაშქრის მხარეზე გადავიდეს. ამიტომ დღეს მართლაც არც ერთი სომეხი არ არის სანდო. ის რაც ხდება, არ არის ღალატი ამ სიტყვის ტრივიალური მნიშვნელობით. ესაა რასიული სტიქიონის გამარჯვება, რომლის წინაშე სუსტია ცალკე პიროვნების შეგნება.

საშინელ ტკივილებს იწვევს ამ ორი თანშეზრდილი ეროვნული სხეულის გათიშვა. სახალხო გვარდიის მხნე ბელადმა ვ. ჯუღელმა 27 დეკემბერს პარლამენტის ტრიბუნაზე გულწრფელად აღიარა, რომ ქართველ გვარდიელებს მეტისმეტად უმძიმდათ ლტოლვილი მტრის რაზმების გაჟლეტა. ეს ადვილი გასაგებია. ქართველ ხალხს შთაგონებული ჰქონდა ყალბი რწმენა, თითქო ომი არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის მოგონილი სპორტი იყოს და დემოკრატიის ბატონობა შეუშფოთებელს მშვიდობიანობას მოასწავებდეს. ნამდვილად კი სწორედ დემოკრატია ჰქმნის გარდაუვალ ეროვნულ ზღუდეებს და სწორედ დემოკრატია აწარმოებს ყველაზე ულმობელ ომებს. თუ მართალია ის ცნობა, რომ სომხის ჯარმა ეკატერინოფელდის ბრძოლაში დაჰკარგა თითქმის მესამედი თავისი შემადგენლობისა, თუ მართალია ის ცნობა, რომ ერთი უბრალო აჯანყებული სომხური სოფლის აღებას მარტო ჩვენი მხრით ორმოცდაათ კაცამდე შეეწირა, შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალურ ხანაში უფრო სასტიკი და სისხლის მღვრელი ომები არ უწარმოებია საქართველოს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეკატერინოფელდისა, შულავერისა და დაგეთ-ხაჩინის შეტაკებები უბრალო ეპიზოდებია და მთელი დღევანდელი ქართულ-სომხური ომიც მხოლოდ შესავალია იმ დიდი მომავალი შეჯიბრებისა, რომელმაც ორი დემოკრატიული სახელმწიფოს ბედი უნდა გადასწყვიტოს წინა აზიაში.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ შეჯიბრებაში ქართველობას მხოლოდ საკუთარი მილიტარული ენერგიის იმედი უნდა ჰქონდეს. წავიდა ის დრო, როცა საქართველოს თავის ეროვნული მიზნების მისაღწევად ინტერნაციონალური ძალების გამოყენება შეეძლო. დავით აღმაშენებელის ლაშქარში უმრავლესობას ყიფჩაღები შეადგენდნენ. მეფე ერეკლეს სომხური, თათრული და რუსული რაზმები ჰყავდა. სცადოს და შეადგინოს დღევანდელმა ინტერნაციონალისტმა მინისტრმა ასეთი შერეული ლაშქარი. მას მტრის მუშტი პირველ შეჯახებაშივე დაშლიდა.

ეკატერინოფელდში გაიმარჯვა დემოკრატიულმა გვარდიამ. მაგრამ ეს იყო აგრეთვე ეროვნული იდეის გამარჯვება. ამიერიდან დემოკრატიისა და ეროვნების საქმე განუყოფელი იქნება საქართველოში. ამაშია ამ ისტორიული გამარჯვების მნიშვნელობა.

## საქართველო-სომხეთის ომი

### მობილიზაცია

თბილისის გენერალ-გუბერნატორს საქართველოს ყოველ მაზრიდან დეპეშები მოსდის, რომ მობილიზაცია ბრწყინვალედ მიდის.

### სომხები რუსთა ქვეშევრდომებად.

გენ.-გუბერნატორის ცნობით, მრავალი სომეხი რუსთა ეროვნულ საბჭოში რუსეთის ქვეშევრდომებად ეწერება, რის მოწმობებსაც ისინი გენერალ-გუბერნატორს უდგენენ. გენ.-გუბერნატორი ამით აცხადებს, რომ 25 ქრისტეშობისთვიდან ასეთი მოწმობები არ მიიღება.

### ს. დურნოვის სომხები

სოფ. დურნოვის (ბორჩალოს მაზრა), სომხებმა დაადგინეს, რომ ისინი თავის მოვალეობად სთვლიან როგორც საქართველოს შვილნი, პროტესტი განაცხადონ, სომეხ-ავანტიურისტების წინააღმდეგ, სალამს ვუძღვნით საქართველოს მთავრობას და მზადა ვართ, შევასრულოთ ყოველივე მისი ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის დასაცავად.

### დეპეშები მთავრობ. თავმჯდომარის სახელზე.

**თბილისი**, 28 ქრისტეშ. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშები:

**ქართველ ისრაელთა დეპეშა.**

ისტორიულ ბედ-იღბლის წყალობით ჩვენ, ქართველ ებრაელებს, წილად გვხდა მთელი ქართველ ერთან გაგვეზიარებინა მისი ჭირ-ვარამი, ყოველთვის მონაწილე ვიყავით როგორც ერის უმაღლეს სიხარულისა და აყვავებისა, აგრედვე მისი უბედურებისა. ისტორიულ მომენტში, როდესაც საქართველოს სახელოვან დემოკრატიას ემუქრება მტერი, ჩვენ ვერ დავრჩებით გულგრილი მაცქერალი და ვალათ ვრაცხთ ჩვენი მორალური და მატერიალური რესურსები მსხვერპლად მოუტანოთ ჩვენს სამშობლოს და მის დემოკრატიის გაამრჯვებას. მთავრობის მოწოდებას ჩვენ აღტაცებით ვეგებებით და ენერგიულად ვაწარმოებთ შეწირულების შეგროვებას მთავრობის ზურგის გასამაგრებლათ ომის წარმოებისათვის, რომელიც სწრაფად გადაეცემა მის განკარგულებაში. კრების თავმჯდომარე მარდახ ფიჩხაძე და პარლამენტის წევრი აბრამ ბუზიაშვილი.

—

**ლაილაში.** დაბა ლაილაშის სომეხთა საზოგადოება, რომელიც აღელვებულია სომხეთის მთავრობის საზიზღარ საქციელით, ორ ძმათა შორის უმანკო სისხლის დაღვრის და საისტორიო შურის დანერგვის გამო, პროტესტს უცხადებს მათ და ჩვენს ქართველ დემოკრატიასთან ხელი-ხელ ჩაჭიდობილი, როგორც წარსულში, ისე მომავალში იარაღით ხელში დავიცავთ ჩვენს სამშობლო საქართველოს და გავწმენდთ მას უნამუსო და მუხანათ მტრისაგან. ლაილაშის სომეხთა საზოგადოების მონდობილობით ნიკო ჯანოევი, გრ. ალხაზიშვილი.

## საქართველოს პარლამენტში

**27 ქრისტეშობისთ. სხდომა**

**თავმჯდომარეობს ი. ბარათაშვილი.**

პარლამენტი იღებს კანონ-პროექტს სამოქალაქო უქმეების შესახებ **მ. თ. კიკვაძის** მოხსენებით და მიწათმოქმედების სამინისტროს შტატების კანონ-პროექტს **დ. ონიაშვილის** მოხსენებით. დარბაზი სავსეა ხალხით და მოუთმენლათ ელის სამხედრო მინისტრის გამოსვლას და ომის ცნობებს:

**სამხედრო მინისტრი გ. გიორგაძე**

მოქალაქენო, რამდენათაც ეს შესაძლებელია მინდა მოგახსენოთ ფრონტის მდგომარეობა. მარჯვენა ფრონტზე-სადაც გვარდია მოქმედობს სამი დღეა სასტიკი ომი სწარმოებს—რომელიც გათავდა იმით, რომ ჩვენმა ჯარმა აიღო სოფელი დავეტ-ხაჩინი. დღეს ეს ისტორიული ამბავია და შეიძლება ამაზე ლაპარაკი.

მარცხენა ფრონტზეც სასტიკი ომია—ერთი ადგილი ხელიდან ხელში გადადის, დღეს ბრძოლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ შეიძლება ჩვენდა სასარგებლოთ გათავდეს.

ჯარი თავგანწირულათ იბრძვის, აგრეთვე განწირვით იბრძვის ვვარდია. მათ შეგნებული აქვთ დაკისრებული მოვალეობა.

მობილიზაცია ყველგან დამაკმაყოფილებლათ ჩატარდა, ისეთ ადგილებშიც სადაც ჩვენ იმედიც კი არ გვქონდა, აგრეთვე ძალიან ბევრი მოხალისეები ეწერებიან ჯარში, სრულიათ დამაკმაყოფილებელია აგრეთვე სახალხო გვარდიის მობილიზაციაც.

ვისაც არ შეუძლია ჯარში ჩაეწეროს, ან ბევარა არ ეხება, იმის მოვალეობაა დაეხმაროს იმათ, ვინც ფრონტზეა წასრული. რასაკვირველია სამინისტრო ყოველ ღონეს ხმარობს ამ საქმეს გაუძღვეს, მაგრამ კერძო ინიციატივასაც აქვს დიდი მნიშვნელობა. ფრონტიდან მოდიან დაჭრილები, მათ უნდა მოვლა, რომ იგრძნონ მზრუნველი ხელი და გაიადვილონ ტანჯვა, ამას დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს.

მთავრობა წინადადებას იძლევა პარლამენტმა დეკლარატიულათ დაამტკიცოს, რომ სახელმწიფო შეინახავს იმათ ოჯახებს, ვინც ომში დაიღუპება ან დასახიჩრდება.

დღეს კი შეიძლება ვსთქვა, რომ ჯარის და გვარდიის განწყობილება მტკიცეა, რაიც გვაძლევს გამარჯვების იმედს (ტაში).

**ვ. ჯუღელის სიტყვა**

სამხედრო მინისტრის შემდეგ ლაპარაკობს სახალხო გვარდიის სარდალი დეპუტატი ვალიკო ჯუღელი, მის გამოსვლას დარბაზი ტაშისცემით შეხვდა.

მოქალაქენო, თქვენი ყურადღება დღეს ფრონტისკენ არის, მე მინდა გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებანი, რომელიც მივიღე ბრძოლაში.

მე მჯერა დემოკრატიის ომი გამარჯვებით გათავდება.

19 ქრისტეშობისთვეს, როცა ახალი მისული ვიყავით ფრონტზე უეცრათ თავს დაგვესხა მტერი, მისი თავდასხმა ისე მოულოდნელი იყო, რომ მათ უკვე მოასწრეს ჩვენი ბატარეების გარემოცვა, მაგრამ ჩვენ სასტიკი ბრძოლით ისინი დავამარცხეთ. ამ ომის დროს აფიცრები წინა რიგში იბრძოდენ და აგრეთვე გვარდიის მთავარშტაბის წევრები, ამ ომში დაიღუპა ჩვენი ამხანაგი სანდრო მაისურაძე—ოთხი საათის ომის შემდეგ ჩვენ სასტიკათ დავამარცხეთ მტერი და დიდხანს ვსდიეთ.

მთელი ენერგიით ჩვენ ვიცავთ ომს და რადგან დემოკრატიის ომი სამართლიანია, გამარჯვება არ აგვცდება, ამის მაგალითია 19 ქრისტეშობისთვის დღე—ამ დღეს ცოცხლები და დაჭრილები ერთათ ყვიროდენ: „გავიმარჯვეთო“! და ომში ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ ბევრი დოკუმენტები, ერთი მათგანი გაზეთებშიც დაიბეჭდა, რომლითაც მტკიცდება, რომ 13 ქრისტეშობისთვეს სომხების ჯარის უფროსმა მისცა ბრძანება, რომ მის ჯარს გადმოელახა ჩვენი საზღვარი და ჩვენი რაზმები ან ამოეხოცა ან ტყვეთ წაეყვანათ. აქედან სჩანს, რომ ისინი ჩვენ დაგვესხენ თავს მოუმზადებელს ომისთვის მაგრამ დღეს ჩვენი მობილიზაცია უკვე დამთავრდა და მალე გამარჯვების სასწორი ჩვენსკენ გადმოიხრება.

დაშნაკელებმა ჯარის გარდა—ჩვენ წინააღმდეგ აამბოხეს მშვიდობიანი ხალხი, რასაც უკრძალავს საერთაშორისო უფლება, მაგრამ დაშნაკელებმა არ დაზოგეს ეს ხალხი და ჩვენ იძულებული ვიყავით გავსწორებოდით ამ ხალხს. ასეთი ამბოხება მოხდა შულავერში და სოფ. დაგეტ-ხაჩინში, უნდოდათ ჩვენი ჯარის ზურგი ჩაეგდოთ საფრთხეში—მაგრამ ჩვენ ეს შევატყობიეს. ჩვენ მივედით და გავაგზავნეთ დელეგატები—ამბოხებულებთან, მაგრამ დელეგატებს პულემეტების ცეცხლით შეხვდენ, შემდეგ გამოირკვა რომ ამბოხებულებში ძალიან ბევრი რეგულიარული ჯარის ნაწილები ერიენ: ჩვენ იქ აღმოვაჩინეთ ბევრი იარაღი, ტელეფონები. არ იყო ეჭვი, რომ ჩვენ გვიპირობდენ ზურგში დაცემას.

იქ მიუდგომელი ადგილია და მაღლობი—ჩვენ ცოტანი ვიყავით, მაგრამ სამი დღის ბრძოლის შემდეგ ეს ადგილი მაინც ავიღეთ. ჯარი და გვარდია ერთად იბრძოდა ძმურად და მათ შორის არ იყო განსხვავება (ტაში).

თუმცა ახალგაზრდა ჯარი არ არის საკმაოდ გაწრთვნილი, მაინც მამაცათ იბრძვის, როგორც მისი უფროსი ძმა გვარდია.

**ნურავის გონია რომ ომი თავდება, დღეს უფრო სასტიკი ომი იწყება.**

ამიტომ ტყუილია და ჭორი ყველაფერი რასაც ლაპარაკობენ ქუჩებში ჩვენი მტრები და ან გაზეთები.

სამი დღის განმავლობაში ჩვენ ჯარს არც უსვამს, არც უჭამია და თოვლზე ეძინა - არც ერთი დაჭრილი არ კვნესოდა და მამაცურად გადაქონდა საშინელი ტანჯვა.

თქვენი საქმეა ახალი ძალების დაგროვება, თქვენ ეს უთუოდ უნდა მოახერხოთ.

არ შემიძლია არ ვსთქვა, რომ სომხეთის ჯარი სრულიათ მოუწყობელია, არ აქვთ ჩასაცმელი და ნახევრად ტიტველია.

ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩვენი ჯარი უკეთეს მდგომარეობაში ჩავაყენოთ და თუ ამას არ მოვაკლებთ ჩვენ ჯარს, მაშინ უეჭველად გავიმარჯვებთ. (ხანგრძლივი ტაში, დეპუტატები ოვაციას უმართავენ ბ. ვ. ჯუღელს).

# ქრონიკა

**გუშინ 28 ქრისტეშობისთვეს ნაშუადღევის 4 ს. 45 წ. საგანგებო სასამართლომ ძეგვის ხიდის აფეთქების გამო მიუსაჯა ინჟენერს პოლკ. გ. ლ. შმაგაილოვსა და მ. კუჩარიანცს დახვრეტა ხოლო ბრალდებული კურულიანი გაამართლა. ბრალდებულთ დღეიდან სამი დღის ვადა მისცეს საკასაციო განსაჩივრებისა პალატაში.**

**სახელმწიფო თეატრი.** ოთხშაბათს 1 იანვარს, საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის და სახელმწიფო თეატრის თაოსნობით სამშობლოს დამცველ მეომართა სასარგებლოდ გაიმართება დიდი მხედრული საღამო. დადგმული იქნება „პირიმზე" სამუსიკო ლეგენდა ბალეტით (კეთილ და ბოროტ სულთა ბრძოლა). კ. ფოცხვერაშვილი გამართავს სიმფონიურ და სამუსიკო განყოფილებას ქართულ მუსიკათა ნაწარმოებიდან.

**წამლის მცენარეულობა.** ვერაზე დაარსდა ამხანაგობა, სახელად „წამლების მცენარეულობა".

**საბაღოსნო სასწავლებელი.** სამიწათმოქმედო სამინისტროსთან შესდგა კომისია, რომელიც საბაღოსნო სასწავლებლის რევიზიას მოახდენს. კომისიას განზრახული აქვს სკოლა თბილისიდან სამინისტროს რომელიმე ლირსეულ მამულში გადიტანოს. კომისიას მინდობილი აქვს გამოარკვიოს საკითხი, თუ რა დანიშნულება მიეცემა სკოლის დატოვებულ მამულს.

**ებრაელთა ეროვნული საბჭოს** მორიგი სხდომა დანიშნულია დღეს.

**კინემატოგრაფი ბავშვებისთვის.** დღეს, მეშვიდე ქალთა გიმნაზიის დარბაზში გაიმართება კინემატოგრაფი ბავშვებისათვის. შემოსავალი ომის საჭიროებას მოხმარდება.

**ქალაქის არჩევნებისთვის** გუშინ 9 საათიდან ქალაქის მცხოვრებლთა აღწერა დაიწყეს. აღწერა სამ დღეში უნდა დასრულდეს. ქალაქი აღწერის დროს 14 უბნადაა დაყოფილი.

**ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი.** კავკასიის ერთა კულტურულ და ხელოვნების ნიადაგზე გაერთიანების მიზნით თბილისში დაარსდა „ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი". დამაარსებელთა შორის პროფესორებიც ურევიან. მათი მიზანია შეიძინონ ყოველი ქვეყნის სამეცნიერო ნაწერები, მიაწოდონ სასწავლებლებს, და სხვა სათანადო დაწესებულებებს.

**ფეხსაცმელების წარმოება.** საქართველოს ქალაქთა კავშირის გამგეობას მიზნად აქვს ფეხსაცმელების წარმოება გააფართოვოს. დღემდე სახელოსნო ყოველ დღე 100 წყვილს ამზადებდა, დღეიდან დღეში 200 წყვილი შეიკერება.

**მილიციის მოწყობა ახალციხის მაზრაში.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპეშა მიიღო ახალციხიდან ჰაიდარ აბაშიძისაგან: „ჩემდა რწმუნებულ ახალციხის მაზრაში შეუდექით დამატებით მილიციის მოწყობას. შესაბამისად საჭიროა თვეში 24130 მან. აქედან ჯამაგირისთვის—19980 მან. ფურაჟისთვის—3700 მან. საჭმელისათვის 450 მან. გარდა ამისა ბინების გასათბობად და გასანათებლად დაკანონებული ნორმით წელიწადში დასჭირდება 11 საჟ. და 2 არშ. შეშა და 57 ფ. ნავთი. შეშისთვის დაგვჭირდება 2800 მან. ნავთის შეძენა ადგილობრივი სიძვირის გამო შეუძლებელია ამიტომ სასურველია ნავთი თბილისიდან გამოიგზავნოს. გთხოვთ ჯამაგირების ფულს ნახევარ წლისას.

**კანონთა და მთავ. განკარ. კრებული.** საქარ. რესპუბლიკ. იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება დამდეგ 1919 წლის პირველ იანვრიდან შეუდგება დრო-გამოშვებით „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის" ბეჭდვას და გადმოცემას. ხოლო 1-ლ იანვრამდე გამოცემულ კანონებს ცალკე რვეულად დაბეჭდავს.

## ახალი გამოცემანი

**ახალი ჟურნალი.** პირველ იანვრიდან თბილისში გამოვა ყოველთვიური სალიტერატურო, სამეცნიერო და კოოპერატიული ჟურნალი „შვიდი მნათობი".

**ბოტანიკა.** რედაქციამ მიიღო მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა (ორგანიული ბუნება) „ბოტანიკა". ნაწილი მეორე, შედგენილი მე-4-ე გიმნაზიის დირექტორის მ. ზაალიშვილის მიერ. წიგნი სუფთა ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 207 გვერდს და უყდოთ ჰღირს 7 მან. 50 კაპ.

**ეროვნება და ეროვნული თავისუფლება.** წიგნი სამს. ფირცხალავასი ფასი 2 მან. 50 კ.

## პარტიული ცხოვრება

**ჟურნალი „ახალი ძალა".** რადგან ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტი, სარედაქციო კოლეგია და საერთოდ ორგანიზაცია, თითქმის მთლიანად, ჯარშია ჩაწერილი, ამისაგან გამოწვეულ მიზეზთა გამო ჟურნალი „ახალი ძალის" საახალწლო ნომერი გაზეთის სახით გამოვა.

## პროვინციის ცხოვრება

**ქ. ხონი.** ავაზაკები თავს დაესხნენ ი. მაჭარაძეს და ოცი-ათასი მანეთი გაიტაცეს.

**ს. პატრიკეთი.** თავდასხმით გაძარცვეს გ. ბოზაძე. წაიღეს 11,000 მანეთის ღირებული ნივთეული.

**ს. ფარცხაყონები.** მგზავრად მიმავალ ისიდ. და ისმაილ ყუბანეიშვილებს დაეცნენ ყაჩაღები და 3280 მან. წაართვეს.

**ს. მათხოჯი.** გაძარცვეს მეეტლეები. დამცემები ვერ აღმოაჩინეს.

**ს. ჟუშვი.** მოჰკლეს ადგილობრივი მცხოვრები მელ. კიკაბიძე.

**ს. უჯარმა.** (კახეთი) აქეთ სასტიკად მძვინვარებს „ესპანური სენი". სოფელს ექიმი არა ჰყავს, რის გამოც მრავალი იხოცება.

**სამხედრო გზა.** სამხედრო გზაზე მუშაობა დაიწყეს.

## ადერბეიჯანის ახალი მთავრობა

ადერბეიჯანის რესპუბლიკაში შესდგა ახალი მთავრობა: მთავრობის თავმჯდომარე და მინისტრი საგარეო საქმეთა—ხანხოილი; შინაგან საქმეთა მინისტრი—ჰასმამედოვი; ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი—მირზა ასადულაევი; ფინანსთა მინისტრი—აროტასიევი; სასურსათო მინისტრი—ლიზვარი; მიწათ მოქმედების მინისტრი—უსუფბეგი; სამხედრო მინისტრი—მეხმანდაროვი; გზათა მინისტრი—მელიქ-ასლანოვი; სახელმწიფო კონტროლიორი და სახალხო განათლების მინისტრი—გაჯინსკი; იუსტიციის მინისტრი—რაფიკურდსკი. განზრახულია სამი ადგილი მინისტრისა სომხებს დაეთმოს.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

**გერმანული პრესა, 28 ქრ.**

**შობის დღესასწაული ბერლინში.**

24 ქრისტ., მთავრობის ჯარისა და **სახალხო საზღვაო დივიზიის** შორის ბრძოლის დასრულების შემდეგ შობის დღესასწაულმა ბერლინში სრულიად წყნარად ჩაიარა.

**მოკავშ. რკინის გზის კომისიის ბრძანება.**

მოკავშირეთა რკინის გზის კომისიამ ბრძანება გასცა, რომ მის გადაწყვეტილების გარეშე არავითარი ცვლილება არ უნდა მოხდეს რეინის და ლიუქსემბურგის რაიონების რკინის გზის მოსამსახურეთა მუშაობაში. ეს განკარგულება გამოწვეულია რკინის გზის უწყებაში 8 საათის სამუშაო დღის შემოღებით. დროებითი ზავის გერმანიის კომისიამ სპაში პროტესტი განაცხადა ასეთი განკარგულების გამო, რომელიც ეწინააღმდეგება დროებითი ზავის პირობებს.

**ბრძოლა ბოლშევიზმთან.**

ბოლშევიზმთან საბრძოლველად ბერლინში შესდგა უპარტიო პოლიტიკური კავშირი, რომელიც მთავარ მიზნად ისახავს ყოველგვარ ტერორთან ბრძოლას.

**სამრეწველოთა სოციალიზაციისათვის.**

სანდო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სახალხო კომისართა საბჭოს ჯერ არავითარი სავალდებულო დადგენილება არ მიუღია მაღაროების და სხვა სამრეწველოების მოსალოდნელ სოციალიზაციის შესახებ.

**ხელოსანთა საბჭოების ყრილობაზე.**

გროსბერლინის ხელოსანთა საბჭომ გერმანიის და გერმანულ ავსტრიის ყველა სახალხო საბჭოები და ხელოსანთა კომიტეტები მოიწვია 15 იანვრისთვის ხელოსანთა საბჭოების საერთო ყრილობაზე. ყრილობის პროგრამაში შედის ეროვნულ ყრილობის არჩევნები, სახელმწიფოს მთლიანობის დაცვა და ხელოსანთა საბჭოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებთან დამოკიდებულების გამორკვევა.

**სამხედრო ტყვეებისთვის.**

გერმანიის წითელი ჯვრის სამხედრო ტყვეებზე მზრუნველმა რაზმმა თხოვნით მიმართა ჟენევის საერთაშორისო კომიტეტს, შუამდგომლობით მიმართოს ამერიკის წითელ ჯვარს, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ ზომები მიიღოს სამხედრო ტყვეგერმანელების და დაკავებულ მოქალაქეთა, განსაკუთრებით რუსეთში მყოფთა, ეხლავე დასაბრუნებლად და მათ დაბრუნებამდე იზრუნოს მათ მძიმე მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**ახალშენი ტოგო.**

„ნოი-ვინერ-ტაგებლატ"-ის პარიზის კორესპონდენტს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ შეთანხმების სახელმწიფოებს განზრახვა აქვს ყოფილი გერმანიის ახალშენი ტოგო ჩეხელებს გადასცეს.

**სამხ. სლავიანები რეინის ოლქში.**

კლაგენფურტში ცნობაა, რომ სამხრეთის სლავიანები გერმანელების რეინის ოლქში შეჭრილან გრანიცტალთან, გრანიცბერგსთან და ბირნბაუსთან.

**მოკავშირენი რუსეთისთვის.**

რეიტერის სააგენტოს სარწმუნო წყაროებიდან აუწყებენ, რომ რუსეთის საკითხს მოკავშირენი დიდ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ არავითარ ზომას არ მიიღებენ, სანამ პრეზიდენტი ვილსონი არ განიხილავს ამ საკითხს. ნათელია, რომ რუსეთის პრობლემის გადაწყვეტა საჭიროა და გადადება შეუძლებელია. ამიტომ შესაძლებელია, რომ ეს საკითხი ლონდონში გაირჩეს პრეზიდენტ ვილსონის თანადასწრებით, რათა დაჩქარებით გამოირკვეს მდგომარეობა.

**დრ. ზავის საზღვაო საკითხი**

„ვილნის სახალხო გაზეთი" ამტკიცებს რომ ბიტოს დროებითი ზავის საკითხზე მოლაპარაკების დროს წყალქვეშა ნავების ჩაბარება არ მოუთხოვია. (გამოტოვებულია) მიუხედავად ამისა გერმანიის სარდლობამ მათდა სამარცხვინოთ, წყალ-ქვეშა ნავები ჩააბარა მიტომ, რომ თვითეულ კაცს მიეცო 500 მარკა, რომელიც ნავების ინგლისში მიყვანისას მიეცემოდათ.

**მასარიკის მოხსენება.**

პრაგიდან იუწყებიან პრეზიდენტმა მასარიკმა ეროვნულ კრების საზეიმო სხდომაზე პირველი მოხსენება წაიკითხა. პრეზიდენტმა მოაგონა კრებას, რომ ჩეხო-სლოვაკთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქვეყნო ომის შედეგია. უფლებიანობის იდეიამ გაიმარჯვა, სულმა გაიმარჯვა მატერიაზე, უფლებამ ძალაზე და ჭეშმარიტებამ სიყალბეზე. ცენტრალურმა სახელმწ. პრუსიის ხელმძღვანელობით მოინდომეს გამეფება ევროპაში, აფრიკაში და აზიაში, გერმანია შეიჭრა აღმოსავლეთში და მოინდომა აღმოსავლეთის და დასავლეთ ევროპის ხალხთა დამონება, მაგრამ დემოკრატიამ დაამარცხა პრუსიის მილიტარიზმი. მოხსენების ბოლოში მასარიკი დაბეჯითებით მოითხოვდა მეგობრული კავშირი დაეჭირათ დანარჩენ ერებთან, განსაკუთრებით პოლონეთთან. მე უკვე დიდი ხანია მოლაპარაკება მაქვს პოლონეთის ლიდერებთან, სთქვა მასარიკმა ფედერაციის შესახებ, მაგრამ ახლა ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ის მდგომარეობა, რომ თვითეულ ერს სამუშაო აქვს".

## უცხოეთის ამბები ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ბოლშევიკების წინსვლა**

მოსკოვიდან მოსულ ცნობებით ბოლშევიკების დასავლეთის ასპარეზზე ჯარი წინსვლას განაგრძობს. გერმანელთა ჯარის ნაწილები უკან იხევენ. ხანგრძლივ და სასტიკ ბრძოლის შემდეგ ნარვა აიღეს. ქალაქი ნახევარი გადამწვარია და ხიდიცა აფეთქებულია. ქ. პსკოვის და ბალკის მხრივ ბოლშევიკებმა დაიჭირეს სად. იზბერსკი, სმოლენსკის მხრივ იგინი მოვიდნენ სადგურ ოსიპოვიჩთან მხოლოდ იმის იქით კი ველარსად წაწეულან, ლიანდაგი აყრილია.

**ბოლშევიკები და ხელოვნება.**

მოსკოვიდან ჩამოსულები მეტად სენსაციურ ამბებს გადმოგვცემენ, მაგ. რეკავენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის ტელეფონს. ტელეფონთან არის ლენინი. მოისმის ხმა: „დღეს რა იდგმება სამხატვრო თეატრში?"—„ალუბლის ბაღი" უპასუხებენ თეატრიდან. ლენინი ეუბნება: „გადასდეთ „ალუბლის ბაღი" და დასდგით „ნაძირალნი". მე გესტუმრებით რამდენიმე ჩემი სტუმრებით". ლენინის ბრძანება სისრულეში მოიყვანეს. უკვე ღამის თერთმეტი საათია, როდესაც ლენინი მობრძანდა სტუმრებით. ამ ხანში მსახიობნი და საზოგადოება იძულებული არიან დაიცადონ. მეორე მაგალითი: კორშას თეატრში მიდის პიესა „დანტონის სიკვდილი" უკვე სამი სურათი აქვთ გავლილი, როდესაც უცბად ბოლშევიკების კომპანია შეიჭრა თეატრში და მოითხოვეს, რომ პიესა ხელახლად თავიდან დაიწყონ, თეატრის ადმინისტრაციაც მათ სურვილს დაუყონებლივ ასრულებს.

## ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე სასამართლოში

(გაგრძელება)

**ქრისტეშობისთვის 26.**

**მ ო ლ ო დ ი ნ შ ი**

სასამართლოს დარბაზში დღეს განსაკუთრებით ბევრი ხალხია. დარბაზში მაყურებელთა სკამები მთლად სავსეა. ირგვლივ დარბაზი გაჭედილია ფეხზე მდგომებით. მოწმეთა დაკითხვა რადგანაც დასრულდა, დღეს ყველა მოლოდინშია, რომ ბრალმდებელ-დამცველთა სასპარეზო დღე უნდა იყოს, დღეს უნდა გადასწყდეს ბედი სიმართლისა და სამართლისა, დღეს ქართულმა მართლმსაჯულებამ მიუდგომელი მსჯავრი უნდა დასდოს ბრალდებულთ. ამან თუ მიიზიდა ამდენი ცნობისმოყვარე ხალხი.

უკვე 11 საათია. ბრალდებულნი რა ხანია მოუყვანიათ. პოლკ. შმაგაილოვი გარეგნულად დღეს თითქოს უფრო დალევრემილია, მისი ფართე შუბლი ნაოჭებად აკეცილა, თვალი უშტერდება; იშიასი აწუხებს, თუ სულიერი განცდა? წარსულის მოგონებას მოუცავს იგი, თუ მომავალის ბედისწერას? ალბად ორივე ერთად იხლართება მის გონებაში.

კუჩარიანცი და კურულიანი უტყვ სფინქსებივით გარინდებულათ იმზირებიან, როგორც ყოველთვის. სახის მოძრაობა გაქვავებული აქვთ, თვალსაც არ ახამხამებენ. მათგან სასამართლოს არ მოუსმენია სინათლის მომფენი რამ სიტყვა. მათი გარინდებული, უტყვი სახე უძირო მორევს ემსგავსება, რომლის ძირზედაც დამარხულია ის განძი, ის საიდუმლოება, რომელსაც მართლმსაჯულება ეძებს, მაგრამ ამაოდ, სფინქსი კვლავ სფინქსად რჩება...

ორი მტერ-მოყვარე, რომელთაც 5—10 წუთის შემდეგ დაუნდობელი ბრძოლა მოუხდებათ ერთმანეთთან, დახე როგორ მეგობრულის ღიმილით, ტკბილად საუბრობენ—ეს გახლავთ ბრალმდებელი ჩხატარაიშვილი და შმაგაილოვის დამცველი ვექილი ზელინსკი.

შეხეთ ამ წერწეტა ყირმიზ ქალს, თმა დაწვენილი კეფაზე რომ წვრილ ნაწნავად შემოუხვევია! მისი ოქროს გრძელი საყურეები მოძრაობისას აქეთ-იქით ირხევიან. ნეტავ რად არის ეს საყურეები უზანგის მოყვანილობისა? ემბლემაა რისამე თუ შემთხვევითი გამონება?

ეს ქოჩორა ცუგრუმელა პირბადრი გოგონა, წაბლისფერ კეფაზე დახვეულ შავ ნაწნავზე პრტყელ ლენტ გადაკრული რა უდარდელად კისკისებს, თითქოს სადმე საახალწლოდ მეკვლედ მისულიყოს! მთელ დარბაზში გაისმის მისი ხმა.

მოსამართლეთა სათათბირო ოთახიდან გამოდის ვექილი ზელინსკი, ბრალდებულთა მოაჯირში შედის და შმაგაილოვს ესაუბრება. შაოსანი შუახნის ქალი თეთრ პირსაბურიანი ბინოკლით მისჩერებია ამ სურათს.

ირგვლივ ჟრიამულია და საუბარია. ზარის წკარუნი გაისმა. „სასამართლო მოდის".

სხდომა იწყება თორმეტის ნახევარზე.

**თავმჯდომარე ი. ჯაფარიძე.** ექსპერტი მასწავლებლები აქ მობრძანდნენ. (წინ წამოდგება საგანგებოდ მოწვეული გიმნაზიის სამი მასწავლებელი, ზედგინიძე, იაშვილი და ზახარიხვი).

**თავმჯდომარე.** გნებავთ ფიცის მიღება? (თანხმობას აცხადებენ, მღვდელი ქართულად აფიცებს).

**თავმჯდომარე.** თქვენ გადმოგეცემათ სხვა და სხვა ნაწერები წერილები და სინიდისისქვეშ უნდა გადასწყვიტოთ ერთიდაიგივე ხელითაა ნაწერი, თუ სხვა და სხვა ხელით?

**დამცველი ებზტეინი.** (თავმჯდომარეს). უკაცრავად, თუ შეიძლებოდეს ექსპერტებმა ამ ოთხს კითხვაზე მოგვცენ პასუხი ექსპერტობის მოხდენის შემდეგ: 1) წერილი რუბენ ჩალხუშიანისა და მისამართები დაწერილი იმავ ფისტის ქაღალდიდან მონახევ მეორე ნახევარზე ერთის ხელით არის დაწერილი თუ არა? 2) ხელის მოწერა რუბენ ჩალხუშიანისა როზანა (მეუღლე) ჩალხუშიანთან მოწერილ წერილზე და თბილისის სავაჭრო ბანკის ჩეკებზე? 3) რა მდგომარეობაში იყო მათი დამწერი?

**მინისტრის ამხანაგი**

მოსამართლეთა მაგიდის მარჯვენა მხარეს ზარის კაკუნი ისმის, ფრთხილი, რამდენჯერმე მეორდება ბოლოს კარი შემოიღება, შემოდის იუსტიციის მინისტრის ამხანაგი გრ. გველესიანი და იქვე მაგიდის უკან სიღრმეში სავარძელში ჯდება.

**თავმჯდომარე.** ზემოხსენებულ საბრალმდებლო საბუთის წერილებს გადასცემს ექსპერტებს, რომელიც მარცხენა ოთახისაკენ მიდიან. სხდომა შესწყდა.

**ექსპერტების დასკვნა**

პირველ საათზე ექსპერტები გამოდიან დარბაზში. მოსამართლენიც თავის ადგილს იჭერენ.

**თავმჯდომარე.** (ექსპერტებს) თქვენი დასკვნა.

**ჯაფარიძე.** (ექსპერტი), წერილი, რომელიც იწყება სიტყვით „ტიაბა" და ბანკის საბუთებზე ნაწერი ერთიდაიგივე ხელით არის ნაწერი. წერილს ეტყობა დამწერის აღელვება.

**სამოქალაქო მომჩივანი.**

**ვექ. დემიდოვი** (საქ. რკ. გზ. ვექილი) ცნობად მოახსენებს თავმჯდომარეს, რომ რკინის გზა ამ წლის 1 იანვრიდან მაისის 25-მდე ამიერ-კავკასიისა იყო, ხოლო მაისის 25 მერე კი საქართველოს რესპუბლიკისაა. როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, საქართველოს რესპ. რკინის გზებზე ღვინობისთვის 29-დან შემოღებულია პლაც-კარტები, რაც შემოსავალს გაზრდიდა.

**ცქიტიშვილი** მოახსენებს თავმჯდომარეს, რომ ღვინობისთვის 29-დან მართლაც შემოღებულია პლაც-კარტები, რითაც რკინის გზის დღიურმა შემოსავალმაც იმატა, ამისთვის 1—11 გიორგობისთვემდე სხვა ზარალს ეს ზარალიც ზედ უნდა წაეკეცოსო. (გადასცემს ოფიციალურ ცნობებს).

**შმაგაილოვის განმარტება.**

**დამცველი ვექ. ზელინსკი** (თავმჯდომარეს). ბრალდებულს პოლკოვნ. შმაგაილოვს მცირე განმარტება ჰსურს მოგახსენოთ.

**შმაგაილოვი.** განმარტების ნება მომეცით. სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ბევრი რამ ისეთი გამოირკვა, რაც მე წინად არ ვიცოდი. მაგალითად ჩემი ნაცნობობა რუბენ ჩალხუშიანთან... ჩემი ნაცნობობა ჩალუხშიანთან ზერელე იყო. მისი პოლიტიკური რწმენის შესახებ რაც ვთქვი, ეს მხოლოდ მისგან მიღებულ შთაბეჭდილების მიხედვით... ნამდვილად მტკიცება იმისი არ შემიძლიან. ოქტომბრის შუა რიცხვებში წინადადება რომ მივიღე ხიდის აფეთქებისა და მიმოსვლის შესაწყვეტად ზომების მიღებისა, ჩალუხშიანს მხოლოდ იმისათვის მივმართე, რომ აქ სხვა ისეთი აღარავინ მეგულებოდა, საქმე კი საჩქარო იყო. მაშინ სხვა რამ მოსაზრება არა მქონია. რაც შეეხება აფეთქების მონაწილეთ, უნდა განვაცხადო, რომ როცა თითონ მე მივიღე აქტიური მონაწილეობა, იქ [illegible]ლებს არ ვიცნობდი. მათ არ ვიცნობდი არც წინად, არც მაშინ, არც მერე, მით უმეტეს, რომ ღამის სიბნელეში მიიმალნენ... თუ ვინმე ჩაეწმახნა ამ საქმეში, რომელსაც თვისი პარტიული მოსაზრება და ინტერესები ამოქმედებდა, გულახდილად ვაცხადებ, რომ მე არა ვიცოდი რა.

**თავმჯდომარე.** მაშ თქვენ და რუბენ ჩალხუშიანცს იდეური ერთობა არა გქონდათ, როგორც წინად განაცხადედ?

**შმაგაილოვი.** ჩემი განმარტება ეხება ჩემი წინანდელი ჩვენების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამი მქონდა თუ ჩალხუშიანი რომელ პარტიას ეკუთვნოდა. ის შთაბეჭდილება კი, რომელიც მისგან მივიღე, რომ იგი იყო მოკეთე რუსეთისა, ეხლაც უარს არა ვყოფ. ჩალხუშიანი იზიარებდა ჩემს აზრსა და სევდას რუსეთის დაღუპვის გამო.

**თავმჯდომარე.** სინიდისის ქვეშ სთქვით, რომ გცოდნოდათ, რომ რუბენ ჩალხუშიანს არარატის რესპუბლიკის ინტერესები ამოქმედებდა, როგორ მოიქცეოდით?

**შმაგაილოვი.** სინიდისის წინაშე ვაცხადებ, ეგ რომ შემემჩნია, არავითარ შემთხვევაში არ ვიკისრებდი, სხვას მივმართავდი დასახმარებლად, მით უმეტეს, რომ საქართველოს წინააღმდეგ არავითარი დავალება არა მქონია.

**თავმჯდომარე.** (მდივანს) ოქმში შეიტანეთ პოლკ. შმაგაილოვის განცხადება.

დამცველი **ზელინსკი.** (თავმჯდომარეს) მეეკითხეთ ბრალდებულს შმაგაილოვს, ოჯახურად დასჯილია თუ არა ბოლშევიზმისაგან?

**შმაგაილოვი.** ბოლშევიზმს დიდის მძულვარებით ვეკიდები. ჩემი ერთადერთი ღვიძლი ძმა ოდესის მახლობლად გაფაფრეს ბოლშოვიკებმა. სამწუხაროდ საშუალება არა მაქვს რომ საბუთებით დავამტკიცო ჩემი განცხადება. დედა ჩემი 1917 წ. ნოემბერში მწერდა: ბოლშევიკებმა სახლიდან გამომაგდეს, თვითონ დაიჭირეს, როგორც ბურჟუის სახლიო.

ამ ამბებმა გამაალმასა ბოლშევიკების წინააღმდეგ და გერმანელების წინააღმდეგაც.

**სიტყვა ბრალმდებელ ჩხატარაიშვილისა.**

ეს საქმე, ბ-ნო მოსამართლენო, დიდს საზოგადო დიპლომატიურს ინტერესს წარმოადგენს. მე ვეცდები მასალების მიხედვით, სინიდისისამებრ შევეხო საერთოდ და კერძოდ ძეგვის ხიდის აფეთქების საქმეს. ვინ იყვნენ ბრალდებულნი, რომელ ღმერთს ეთაყვანებოდნენ? ავიღოთ პოლკოვნიკი **შმაგაილოვი.** გახსოვთ მისი პირველი სიტყვა განუსაზღვრელის გულწრფელობით, გრძნობით, გულისტკივილით გადმოცემული, უმაღლესი პატრიოტიზმით შემოსილი, სამშობლო რუსეთის ბედით გამწარებული გულის ამონაკვნესი... აგაღელვებდათ, გაგიტაცებდათ, დაგიმონებდათ. აქ იყო სიმართლე, მაგრამ არა სრული, ამ სიმართლეს რაღაც აკლდა. შმაგაილოვი კვლავ სტოვებდა რაღაც უთქმელს, იგი რაღაცას არ ამბობს. გახსოვთ, შმაგაილოვი თითქმის გულწრფელად გამოტყდა კიდეც, მაგრამ იგი გამოტყდა რაშიმე, რაც სასამართლოსთვის ცხადი არ იყო? თვითონ გარემოება ისე მოეწყო იმთავითვე, რომ ბრალდებულმა ყულფში გაჰყო თავი, იგი დანაშაულობის ადგილასვე შეიპყრეს... მისი ბინის გაჩხრეკამ იქ აღმოაჩინა სწორედ ისეთივე ნივთები, როგორიც აფეთქებულ ხიდთან დარჩენოდათ. დილომის მახლობლად შეპყრობილი ტეხნიკი შაროშინი პოლკოვნიკ შმაგაილოვად იქცა. აი მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უტყუარი ბრალდება დაატყდა თავს, იგი გამოტყდა და გულახდილად მოგვიყვა, თუ მის გონებაში როგორ წარმოიშო საკითხები. შმაგაილოვმა ბევრი რამ იცის, მაგრამ სდუმს, მას ხელთ აქვს საიდუმლოების სათავე, სიმართლის ნაწიბური და არას ამბობს. აი, აქ უკვე ჰქრება მისი გულწრფელობა. მას შეუძლია განუმარტოს მსაჯულთ ყოველი სიტყვა რუბენ ჩალხუშიანის წერილისა. მან იცის ყოველისფერი, მაგრამ სდუმს. მან იცის „საფეთქებელ სამუშაოს" ისტორია, ავანჩავანი და არას ამბობს. ვინ არის ოსიკი, რომელიც ამ წერილშია მოხსენებული? შმაგაილოვმა იცის, მას გამომძიებელთან ნათქვამი აქვს რუბენ ჩალხუშიანისაგან გამიგია ოსიკის შესახებაო.

ბრალდებულმა ბევრს კითხვაზე მოგვცა პასუხი, ბევრი ილაპარაკა მაგრამ კი არაფერი გვითხრა ვინ იყვნენ მისი თანამშრომელნი ამ საქმეში, რა ეროვნებისა, იდეურნი იყვნენ ეს მონაწილენი თუ არა? მან არაფერი გვითხრა. (შმაგაილოვი იატაკს მისჩერებია გაშტერებით)... განა კუჩარიანცის შეხვედრა ტყეში მასთან შემთხვევითი იყო? დაგვცინის თუ? კუჩარიანცი ამტკიცებს: შმაგაილოვი თბილისის სადგურზე შემხვდა, ერთად

წამოვედითო, მერე მცხეთის სადგურზე შემხვდაო, მესამედ ტყეში... შმაგაილოვს კი ჰსურს დაგვარწმუნოს, რომ კუჩარიანცი პირველად ტყეში შეჰხვდა... საერთოდ ბრალდებული შმაგაილოვი ბევრს რასმეს არ გვიმხელს თუმცა გადაჭრით შეეძლო ეთქვა ყველაფერი, საქმისათვის სინათლე მოეფინა. მის სინიდისზე მიმიგდია მისივე განცხადება, რომ იგი იდეის გულისათვის უანგაროდ მოღვაწეობდა ამ საქმეში, მაგრამ მან, პოლკოვნიკმა შმაგაილოვმა ჩაიდინა უდიდესი დანაშაული საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ამ რესპუბლიკის კანონით უნდა დაისაჯოს. რა შედეგი მოჰყვა მის ნამოქმედარს. ხიდის შეკეთება ჯერაც არ დასრულებულა. საქმის ამ მხარეს სამოქალაქო მომჩივანი შეეხება, მაგრამ რას ჰფიქრობს პოლკოვნიკი შმაგაილოვი, ხიდი რომ ჩანგრეულიყო, ეს ხომ აუნაზღაურებებელი განუზომელი ზარალი იქნებოდა საქართველოს ღარიბ რესპუბლიკისთვის... ან ნახევარ საათში რომ სამგზავრო მატარებელს გამოევლო, ხომ ათასობით უდანაშაულო ადამიანი მსხვერპლი უნდა შეეწირა მის მზაკვრულს მოქმედებას? ჰფიქრობდა ამას შმაგაილოვი?.. თანაც ურცხვად ამტკიცებს, გულწრფელობის ნილაბქვეშ სცდილობს დაგვარწმუნოს, ვითომც არც ერთს მონაწილეთაგანს არ იცნობს... განა ამისთანა საქმეში უცნობებთან იჭერენ საქმეს? მე ვფიქრობ რომ მე უნდა ვიცნობდე ერთს მონაწილეს მაინც და ვეცდები პოლკოვნიკ შმაგაილოვს არ არ გავაცნო. ეს არის კუჩარიანცი, რომელიც 1 ნოემბრიდან დღევანდლამდე არ მოჰშორებია მას. (შმაგაილოვი ნერვიულად ათამაშებს თითებს, ძირს იცქირება).

კუჩარიანცი ხომ ნახევარ ვერსის მოშორებით შეიპყრეს, სადაც შმაგაილოვი, 1 ნოემბერს ერთად ნახეს, 2 ნოემბერს ერთად ნახეს. 3 ნოემბერს ერთად ნახეს. განა ეს არა კმარა? სამი დღე-ღამე, ვიღაც დაბრანძულ კაცთან ერთად დადის. ის „უცნობი" კაცი ხმაურობის გაგონებაზე ურჩევს „არიქა", გაიქეც, თავს უშველეო".

გადავიდეთ **კუჩარიანცზე**. კუჩარიანცი რათ გარბოდა და რაღ ისროდა? მას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ მას შესაპყრობად სდევდნენ. მან კარგად იცოდა. რადგანაც ხიდი ააფეთქა, ამისთვის იყო რომ ასე გამწარებით, სასტიკად უწევდა წინააღმდეგობას მდევარს, რადგანაც იცოდა რაც მოელოდა თუ შეიპყრობდნენ. განა კუჩარიანცის განცხადება, მსაჯულებისადმი მიმართული, თქვენ დუნიას უვლით და რა გახდა, რომ მეც მემოგზავრაო", განა ასეთი განცხადება კი სასამართლოს აბუჩად აგდება არ არის? კუჩარიანცი სცდილობს დაგვარწმუნოს, სანოვაგის სავაჭროთ, „გავისეირნეო". ჯიბეში კი სულ ათი თუმანი ჰქონდა, რა უნდა ეყიდნა ამ ფულით, როდესაც თითო ცხვარი 150—180 მანეთი ღირს. ფული, ალბად, სახლში დაავიწყდა, სამაგიეროთ თან ჰქონდა ლუქი, ბიკფორდის პატრუქი, სანთელი. თუმცა საქმეში არ მოიპოვება, მაგრამ მოწმე ჯაფარიძემ (სპეციალისტია) განაცხადა: კუჩარიანცს ბიკფორდის პატრუქის ნაჭერი აღმოაჩნდა გაჩხრეკის დროსაო. არავითარი უფლება არა გვაქვს ჯაფარიძეს, ოფიციალურ პიროვნებას, არ დავუჯეროთ. ეს ცნობა მოწმე მზარეულიშვილმაც დაადასტურა... საქმეში არის ნივთიერი საბუთები (გათლილი ხის ნაჭრები), კუჩარიანცის ბინის ქვეშ სადურგლოცაა. არის კიდევ ერთი საბუთიანი ჩვენება დიღმელ დიაკვნის: როცა კუჩარიანცმა ეკლესიაში სანთელი დაანთო და გამოვიდა, ეკლესიის მსახურს ([illegible]იაროვს) ერთმა გლეხმა ჰკითხა „ეს ვინ არისო", მსახურმა უპასუხა „ეს სომეხიაო". მაშინ იმ გლეხმა კუჩარიანცს ჰკითხა: „შენ ხომ არ იყავი, ხიდი რომ ააფეთქეო". კუჩარიანცმა ამის გაგონებაზე, დაჰკრა ფეხი და ტყისაკენ მოჰკურცხლა მაუზერზე ხელის წავლებით. მაშინ მაუზერს არავინ ართმევდა მაგრამ დანაშაულობის ჩადენის შემდეგ საფრთხე იგრძნო და გაიქცა.

მესამე ბრალდებული **კურულიანი** არხეინად შედის რუბენ ჩალხუშიანის ნომერში და შინაურულად კითხულობს „შინ არის რუბენ?" მისი ხელით მიტანილი წერილი სასამართლოს ხელშია; ეს წერილი ბევრს რამეს გაგვიმხელდა, მის მიმტანს რომ ეთქვა რამე, მაგრამ სდუმს. ასეთ წერილებს გარეშეს არ ანდობენ. კურულიანმა იცოდა ამ წერილის შინაარსი და საქმის ვითარება. კურულიანი აცხადებს მისამართები ჩემს იქ ყოფნის დროს დაიწერაო. წერილი და მისამართები კი ერთის ხელით არის ნაწერი ორად გახეულ ფოსტის ქაღალდზე. მე ვამტკიცებ, რომ კურულიანის თანადასწრებით არის დაწერილი რუბენ ჩალხუშიანისაგან წერილიც... კურულიანმა წერილის შინაარსი რომ იცოდა, იქიდანაც სჩანს, რომ ნომერში შესვლის დროს, თუმცა იცის, რომ ეს ნომერი რუბენ ჩალხუშიანისაა, მაგრამ რაკი ჩხრეკას წააწყდა, განგებ კითხულობს: „რუბენი შინ არისო"!

კურულიანი უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის დებულებათა მე-15 მუხლით, რომ იცოდა საქმის ვითარება და მთავრობას არ აცნობა.

(შემდეგი იქნება)

## გაკვრით საუბარი

"Timeo danaoset, dona terentes" იტყვის ვირგილიუსი. ერთი დიდი თვისება ჩვენი სულიერი ბუნებისა განცდაა, თვისი. მეს სხვის „მე"-ში მოთავსება და ამ სხვისი მეის გაპიროვნება. ამ თვისებას ანვითარებენ ნიჭიერი მსახიობნი, და კრიტიკოსებიც. გეტე თავის წიგნში: „პოეზია და სიმართლე ჩემი ცხოვრებისა" საყურადღებო ფურცლებს ანდომებს განცდის პროცესის განხილვას და მისი დიადი მნიშვნელობას მოაზროვნე ადამიანისათვის. ეს განცდა მხოლოდ ადამიანის პირად თვისებას კი არ უნდა შეადგენდეს, იგი ეროვნულ თვისებადაც უნდა გადაიქცეს უეჭველად. ამისთვის მის განვითარებას დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ოჯახში, სკოლაში, მაგრამ ასე ადვილი არ არის იგი. პედაგოგი კაცი ვერ აღწევს ჯერ-ჯერობით ამ მიზანს, რადგან ზოგი კერძო პირი და იშვიათად ზოგი ერი, როგორც მაგ. სომხობა ნამდვილ იმმუნიტეტს წარმოადგენს ამ ფსიხოლოგიურ ელემენტის განვითარებაში, ქართველი კი ამ იმმუნიტეტს შესამჩნევლად მოკლებულია, პირიქით ქართველი მუდამ განიცდის სხვის მდგომარეობას მას და მთლად იზიარებს. მაგალ. მას შემდეგ რაც სომხობა შემოგვკედლებია, ქართველ ხალხს იგი კარგად გაუცვნია, ბევრი არა სოციალური თვისობა უნახავს მასში, პირიქით დარწმუნებულა სომხის უმორალობაში მიუხედავად ამისა ქართველი ყოველთვის სომხის გაჭირვებაში შედის, როდესაც იგი ყველგან სახელს გვიტეხს და ყველას ამხედრებს ჩვენს წინააღმდეგ, აწყობს ჩვენში ამბოხებას, აფეთქებას და ნამდვილ ომსაც გვიცხადებს. ლტოლვილებმა საქართველო წაბილწეს, სიხარულით ცას ხედებოდნენ, როდესაც ბოლშევიკებმა მათი წყალობითი ქსელი გააბეს ქართლში და კახეთში, ჩაიგდეს ხელში პური სანოვაგე, რომ ტყავი გაგვაძრონ, ხელს უწყობდნენ ბოლშევიზმს და ხარობდნენ, როდესაც ჩვენს შორის განხეთქილება ჩამოვარდა და თოფიც გავარდა. აჭარა და ჯავახეთი ხომ არიეს. ამის შემხედავი ქართველები ბაქოში ჩვეულებრივ კალთას აფარებენ სომხეთს, როგორც ეს მოხდა 1905 წელს. ეს იმისთვის რომ ქართველი ერი ალტრუისტურია, ძლიერ გრძნობს მტრის უბედურებასაც კი, მისი „მე" ერთიანად გადადის სასიკვდილოთ განმზადებული ადამიანის სულში და ანთავისუფლებს სიკვდილისაგან, თუნდაც მას ქართველს ამის გამო სიკვდილი მოელოდეს. და გულკეთილს ქართველის თვისებინი განხორციელებაში ძვირფასნი არიან, მაგრამ სად მოიძებნება დედამიწაზე ისეთი ერი, რომელსაც ეს თვისებები ასე განვითარებული ჰქონდეს და ასე გულგრილათ შეისიონ სხეულზე პარაზიტები, როგორც ეს ჩვენ მოგვივიდა, და მოგვდის სხვა ერებს უპირველესათ ახსომთ მხოლოდ თავისი თავი და ამ პირობებში ზემოხსენებულ ქართველისებური განცდას სულ ცოტა ადგილი აქვს. დღემდის ჩვენ თითქოს ლევ ტოლსტოის მიმდევრები ვიყავით: „არ აღუდგეთ ბოროტებას ჩვენი ძმებისას". ასე ვფიქრობდით, სომხები კი ყოველ საზღვარს გადადიოდენ და ლამის ერთიანად ჩაგვთქან, გორის მაზრასაც კი ხელი წაუპოტინეს ამ ბოლო დროს ბოლშევიკებსაც ხომ მიმართეს, ჩვენი რესპუბლიკის დასაღუპავათ, პირში ჩასჩარეს იერიქონის საყვირები უალაგოთ დარჩენილს და გახულიგანებულს რუსის მოხელეებს, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ უკანასკნელნი უკბილონი აღმოჩნდენ. ჯერ-ჯერობით ერთი იმედი დაგვრჩენია. ბოროტებას, აქვს საზღვარი და ბოლოს ხშირად ხდება ხოლმე, რომ თვით ბოროტის ჩამდენი მისგანვე დაგებულ მახეში ებმება.

ე. გაშაკიძე.

## მაჰმადიან ქართველებისადმი

ძმებო, მაჰმადიანო ქართველებო! თურქების უღელი, ექვსი თვის მონობაში ყოფნის შემდეგ, მოგხსნეს საქართველოს რესპუბლიკის ჯარებმა. ოსმალთაგან დატანჯულმა ხალხმა ძლივს ამოისუნთქა თავისუფლად. ხალხის მტრები, ოსმალეთის მოსყიდული აგენტები, თქვენ გაქეზებდენ ქართველების წინააღმდეგ, ისინი გასმენდნენ თითქოს საქართველოს ჯარები მოდიოდენ თქვენს გასანადგურებლად და ასაოხრებლად, მაგრამ დღეს თქვენ თითონ დაინახეთ, რომ მთელი საქრისტიანო საქართველო ჩვენ გვეპყრობა როგორც თანასწორუფლებიან ძმებს, ამყარებს წესრიგს და მომავალში ჩვენზეა დამოკიდებული თუ როგორ მოვაწყობთ ჩვენ ცხოვრებას. ექვსი თვის ბატონობის დროს თურქებმა ნათლად დაგვანახვეს თუ რა ჰსურდათ მათ ჩვენგან, ძმებად მოვიდენ ჩვენთან, თუ მტრებად.

ძმებო, მაჰმადიანო ქართველებო! ვერც ერთი მტერი ვერ გვიზამდა მას, რაც ჩვენ თურქებმა და მისმა მოყიდულმა პირებმა გვიყვეს: შებილწეს ჩვენი წმინდა სჯული და პატიოსნება, სოფლის მეჩეთები აავსეს ნაპარევი და ნაძარცვი საქონელით, ხალხს მოუსპეს საშუალება აესრულებია თავისი ლოცვის საქმე. განა ამის მსგავსს რაიმეს სჩადის საქართველოს მთავრობა? არა, ძმებო მაჰმადიანნო, საქართველოს მთავრობა არ ერევა ჩვენი სჯულის საქმეში, მან საქვეყნოდ მიანიჭა მაჰმადიან საქართველოს ფართო ავტონომია. ახალციხის ჯამე, რომელიც 90 წლის განმავლობაში რუსის ჯარს ეკლესიად ჰქონდა, საქართველოს მთავრობამ ხელუხლებელი დაუტოვა ჯამედ მაჰმადიან ქართველებს.

დღეს ახალციხის მაჰმადიან ქართველებს ჰმართებს სიხარული და ზეიმი, მაგრამ, ძმებო, ახალციხელებო, იქ თქვენი ძმები აჭარ-ქობულეთლები ისევ მონობაში არიან. თურქების აფიცრები და ასკერები სდევნიან თქვენს მეზობლებს აჭარა-ქობულელებს. გზა აბნეული ოსმალეთი, რომელიც დამარცხდა ბრძოლაში, ჩვენში ცდილობს ეხლა მომხრეების შოვნას და აბრიყვებს ხალხს, მაგრა განა თქვენ არ ნახეთ გემო მათი ბატონობისა, განა თქვენ არ დაგიხოცეს როზგებით ძმები? განა თურქები არ გართმევდენ პურს, კარტოფილს და უფასოდ არ მიყავდით ბეგარაზე? განა ცოტა დაგეკარგათ შინაური ოთხფეხი? ოსმალებს მიჰყავდათ თქვენი შვილები ჯარში, არ აცმევდა მათ ტანზე და ფეხზე, სტანჯავდა ახალგაზდებს და ხარჯს უფასოდ ისევ თქვენგან კრებდა.

საქართველოს მთავრობას კი ჯარში არ მიჰყავს მაჰმადიანი ქართველობა. დღეს თქვენ ახალციხის მაჰმადიანები თავისუფალი ხართ. მაგრამ თქვენი ვალია დაეხმაროთ უბედურ აჭარა-ქობულეთს მონობის უღლის მოხსნის საქმეში, მთელი სამაჰმადიანო საქართველო თავის ძმა ქართველ ქრისტიანებთან ერთად უნდა იყრიდნენ ერთ ოჯახში თავს.

გაუმარჯოს თავისუფალ სამაჰმადიანო საქართველოს დამოუკიდებელ საქართველოში!

გაუმარჯოს აჭარა-ქობულეთის განთავისუფლებას!

გაუმარჯოს ახალციხის მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ძმობას!

გაუმარჯოს სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს!

სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის რწმუნებული ახალციხეში, **ყადირ შერვაშიძე**.

## [illegible]

### „უდაბნოები".

უჯარმასთან, თელავის გზატკეცილზე გამოქვაბულები კატაკომბებით სავსეა. აქ იყო ძველი ქალაქი უჯარმა და შეიძლება აქვე იყო ის პირველი ეკლესია პირველ ქართველი მოწამე რაჟდენის სახელზე, რომელიც მეფე ვახტანგ გორგასლანმა აღაშენა მე-5 საუკუნეში. ჩვენი აზრით, იგი უნდა იყოს სალომე უჯარმელის (უჯარმის, კუხეთის დედოფალი), სენაკები, რომელიც თანამედროვეა. მემატიანე, წმ. ნინოს ცხოვრებისა და რომელიც აქ განდეგილობდა. გამოქვაბული მთის ნაწვერლებზეა, რომელიც ს. მუხროვანს გადაჰყურებს. უჯარმის ძველ ნაშთების დათვალიერებისას, მოულოდნელად წავაწყდით ამ ძვირფას ნაშთებს. გამოქვაბულები სავსეა ძვირფასი ფრესკებით. ერთი ეკლესიის კედელი მოხატულია სრულიად წმ. ნინოს ცხოვრებიდან. ფრესკები კარგად დაცულია, მხოლოდ ზოგიერთი გაფუჭებულია მწყემსებისაგან, რომელნიც ავდრიანობისას აქ ეფარებიან.

საჭიროა, სათანადო ყურადღება მიაქციონ მას, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებამ ისე ახალგაზრდა ქართველ მხატვრებმა.

**გ. ბივრიტიონი.**

### ახალსოფელი
(გარეთ-კახეთი).

ახალსოფელი მდიდარი სოფელია—სათიბით და ტყეებით. ამასთან იგი თბილისიდან 20 ვერსის მანძილზეა და ქალაქთან სავაჭრო კავშირი აქვს.

სოფელს ინტელიგენცია სულ არ ჰყავს და ეს სასტიკად ამჩნევია სოფელს: არა აქვს სამკითხველო, აფთიაქი, თეატრი და სკოლა რიგიანი. სამაგიეროდ მთელი სოფელი სავსეა ღვინის სავაჭროებით, რომელნიც მუდამ სავსეა სოფლის ახალგაზდობით.

ადგილობრივ მემამულეს გიორგი (კოლა) ელიავას განზრახვა ჰქონდა სოფლისთვის სამეურნეო სკოლა გაეხსნა, მაგრამ ომიანობამ შეაფერხა მისი კეთილი აზრი. საჭიროა სოფელმა მხარი მისცეს მას და სიზნელიდან გამოვიდეს.

პური წრეულს ნაკლები მოვიდა და სოფელს ქალაქიდან ან ფშავლებიდან ჩამოაქვს.

უექიმობის გამო „ესპანურ სენმა" სოფელი დიდად დააზარალა.

**ლეკი.**

## თეატრი და მუსიკა

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს დილით, „სევილიელი დალაქი", საღამოთი ალეშკოს, კანშინის, პოლიაევის და სხვათა მონაწილეობით „ტოსკა" და „ბალეტი" ჯიოკონდას ოპერიდან „საათების ცეკვა".

31 ქრისტეშობისთვეს, საბანეევას სარაჯიშვილის და ინაშვილის მონაწილეობით „ტრავიატა".

**სტუდიის წარმოდგენა.** ხუთშაბათს, იანვრის 2-ს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში, ქართული დრამატიულ სტუდიის მიერ წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის „ღალატი" წარმოდგენის წმინდა შემოსავალი ქართველ მეომართა საზობაო საჩუქრებისათვის გადაიდება.

**ვ. ბარნოვმა** დასწერა ისტორიული რომანი „ტრფობა სნეული" სიუჟეტი ამოღებულია საქართველოს ისტორიიდან.

## შემოწირულება

კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიის სამრევლო საბჭომ გადასწყვიტა ეკლესიის თანხიდან 10.000 მან. გადადოს ომის საჭიროებისთვის.

## ღია ბარათი
**პლ. ლევ. მახარაძეს.**

უთუოდ გახსოვთ, რომ თქვენ განაცხადეთ სურვილი გეკისრათ ქართული ლატარიის ბილეთების გავრცელება. მოგართვით კიდეც ასი ბილეთი. პირველ დარბაზობისას თქვენ გადმოგვეცით 175 მანეთი. შემდეგ გესტუმრეთ, მაგრამ თქვენი სასადილო „იმედი" დაკეტილი დაგვხვდა. ეხლა-კი გავიგეთ, რომ თქვენ თბილისიდან წაბრძანებულხართ და თქვენი ახალი მისამართი კი ვერ გვითხრეს.

ამით გთხოვთ დღეიდან ათ დღეში ჩააბაროთ გამგეობას ყოველივე ანგარიში (სასახლის ქუჩა № 5 ლატარიის კანტორა, ტელ. 7—61).

ლატარიის გამგე **სოლ. ახვლედიანი.**

## თბილისის სამაზრო საერობო გამგეობა
ამით აცხადებს, რომ თბილისის მაზრაში ასარჩევია

## მომრიგებელი მოსამართლენი

შემდეგ სამოსამართლო უბნებში: 1) თბილისის უბანი—ბინა ქ. თბილისი; 2) მანგლისის უბანი—ბინა მანგლისი; 3) ალბულაღის უბანი—ბინა ალბულაღში (ბელი-კლუჩში); 4) ყარაიაში; 5) საგარეჯოს უბანი—ბინა საგარეჯოში და 6) სართიჭალის უბანი—ბინა სართიჭალა ან მარტყოფი. უბნის მომრიგებელ მოსამართლეს მიეცემა ჯამაგირი 650 მან. თვეში, ამის გარდა საკანცელარიო მასალის და ბინის გათბობა-განათებაში 415 მან. თვეში. ვისაც ჰსურს მოსამართლედ აირჩიონ, განცხადება, საბუთები და currimlum vitae უნდა შემოიტანოს ერობის სახელზე: რუსთაველის ქუჩა № 6 (გოლოვინის პროსპექტი) გერმანიის კომენდატურა (ძველი ბინა).

2—88—2 **გამგეობა.**

## ქართველო ვაჭარნო და მრეწველნო!

## თქვენი სამშობლო განსაცდელშია.

უდიდესი ხიფათი მოელის თქვენს ერს, თქვენს მამულს, თქვენს თავსა და ოჯახს. ყველა ქართველი ვაჭარი და მრეწველი მოვალეა ყველაფერით დაეხმაროს მთავრობას ომის საქმეში და თავისი ვალი მოიხადოს წინაშე სამშობლოსი.

თბილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ყრილობამ იმსჯელა ამის შესახებ და დაადგინა: 1) შეგროვილ იქმნეს ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის 10 მილიონი მანეთი; 2) დაიყოს საქართველო ვაჭართა რაოდენობის მიხედვით რაიონებად და თითო რაიონს გაეწეროს ხვედრი თანხა; 3) ფულის გადახდა ყველასთვის სავალდებულოა; 4) შეგროვილი ფული უნდა შეტანილ იქმნეს ამიერ-კავკასიისა ან სამეურნეო ბანკებში თბილისში.

**ფულის შემკრები მთავარი კომიტეტი.**
(7—89—1)


## ზ. მ. კოზ[illegible]კის ფოტოგრაფიაში

**გაიხსნა სტუდია მხატვრულ სურათების შესასრულებლად**

სურათები შესრულებული იქნება, ზეთის (აკვარელის) და სხვა და სხვა საღებავებით. მხატვრულ შესრულების მხრით ფოტოგრაფია სრულ პირობას იძლევა. ფოტოგრაფია ღია 9 ს. 5 ს. (ერევნის მოედანი—სოლოლაკი).
(10—85—4)


## განცხადება

## თბილისის მოქალაქეთ!

1919 წლის 1 იანვარს რწმუნების ვადა უთავდებათ ქალაქის საბჭოს ხმოსანთ და ამიტომ თბილისის ქალაქის გამგეობა აცყობინებს თბილისის მოქალაქეთ, რომ 28, 29 და 30 ამა ქრისტეშობისთვეს მოხდება სამ დღიური აღწერა ახალ საარჩევნო სიების შესადგენად.

აღწერის მოსახდენად ქალაქის გამგეობამ დანიშნა რამდენიმე ასეული აღმწერი, რომელთაც მიეცათ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული მოწმობები.

აღწერის გაჭიანურებისა და საარჩევნო სიებში ვისიმე გამოტოვების თავიდან ასაცილებლად ქალაქის გამგეობა სთხოვს თბილისის მოქალაქეთ აღწერის დღეებში (28, 29 და 30 ქრისტეშობისთვეს) სახლში იყვნენ დილის 9 ს. საღ. 9 ს., წინააღმდეგ შემთხვევაში დასტოვონ სახლში დაწერილებით ცნობები როგორც თავისს, აგრეთვე ოჯახის შესახებ. ამ შემთხვევაში სავალდებულოა დასტოვონ საბუთები, რომლის ძალითაც შეტანილ უნდა იქმნენ საარჩევნო სიებში, რომელთათვისაც საჭიროა შემდეგი ცნობები: № კომისარიატისა, ქუჩისა, სახლისა და ბინისა. გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, ეროვნება, ხელობა და იცის თუ არა წერა-კითხვა.

აღმწერთა მუშაობის ასაჩქარებლად და აგრეთვე სრულ სიების სრულ და სწორ შედგენისათვის, ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ—მიაწოდონ აღმწერთ საჭირო ცნობები, რომელთაც-კი დამოკიდებულება აქნებად საარჩევნო სიების შედგენასთან, და თუ საჭიროდ აღმოჩნდება, აჩვენონ ხოლმე საბუთებიც, რომელნიც უნდა ამოწმებდნენ, რომ ესა თუ ის პირი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (პასპორტი მეტრიკული მოწმობა, ან ნამსახურებითი სია—თავისი ან მამისა).

ჩამომავლობით ქართველნი ყოველივე შემთხვევაში ითვლებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად, ამიტომ ზემოდ აღნიშნულ საბუთების წარდგენა მათთვის სავალდებულო არ არის, გარდა მეტრიკული მოწმობისა ამ პირთათვის, რომელნიც გარეგანი შეხედულობით 20 წლისაზე უმცროსნი არიან.

თუ რაიმე გაუგებრობამ იჩინა თავი აღმწერთა და მოქალაქეთა შორის, ქალაქის გამგეობა სთხოვს უკანასკნელთ მიმართომ საუბნო ბიუროებს.

საუბნო ბიუროები აღწერის დღეებში ღია იქნება დილის 9 ს. შუადღის 4 ს. ქვემოთ ჩამოთვლილ 13 ადგილზე:

1 უბანი სამოქ. პირველდაწყებითი სკოლა, ოლგას ქ. № 62, ს. მაჩაბლისა
2 „ ვაჟების პირველი გიმნაზია, გოლოვინის პრ.
3 „ მესამე ქალთა გიმნაზია, ლერმონტოვის ქ.
4 „ ქარვასლა მანთაშევისა, სომხის ბაზარი, 62.
5 „ პუშკინის სამოქალაქო სკოლა, ვორონცოვის ქუჩა.
6 „ ნადეჟდის თავშესაფარი.
7 „ ავლაბრის კლუბი (საზამთრო შენობა).
8 „ პირველი საკომერციო სასწავლებელი.
9 „ სამოქ. სკოლა პეტრე დიდის სახელის, ჩერქეზიშვილის ქ. 29.
10 „ სახალხო სახლი ზუბალაშვილისა.
11 „ თეატრი ნაძალადევისა, ჩერქეზიშვილის ქუჩა.
12 „ რკინის გზის სასწავლებელი.
13 „ საბურთალოს კომისარიატი.

**თბილისის ქალაქის გამგეობა**


**რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა**

## გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჭაჭების. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. **საწყლებს უფასოთ.**

ექიმი

## კ. ტარ. ლორთქიფანიძე

**დაბრუნდა ბაქოდან**

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაზერეთის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.
(თ.—1918).

ექიმი

## ივ. ვ. დემურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს" პირდაპირ.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

## ალექსანდრე დავითის ძის ჩიჩილიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

ექიმი

## ნიკ. ი. მაჭავარიანი

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—1536—54

გაიხსნა

## თვალის სამკურნალო
(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ექიმი

## გ. ნიკამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

**დოქტორ. მედიცინისა**

[illegible]

## [illegible]

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.


სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაზიერის შესახვევი № 1,